საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. პარასკევი, 1917 წ. მაისის 19 (1)

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76
ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი.
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 მ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 106 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 106

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

მაისს 28, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

ყრილობის წეს-რიგი.

I. საპროგრამო საკითხები:

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

II. სატაქტიკო საკითხები:

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ჱ. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

III. საორგანიზაციო საკითხები:

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

შაბათს, 20 აპრილს, სოფელ მუხრანში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფის

არჩილ მარინაშვილის

სულის მოსახსენებლად.

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მშობლები: მღვდელი გიორგი მარინაშვილი, ნატალია მარინაშვილისა; ძმები: მირონი, ალექსანდრე, დავითი, შალვა და გრიგოლი; დები: მინადორა სმირნოვისა, მარიამ იანქოშვილისა.

2—648—1

ქუთაისის
თავად-აზნაურთა სამეურნეო ბანკი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა

მორიგი კრება

მოხდება ქალ. ქუთაისში, ბანკის შენობაში, 1917 წ. მაისის 28, დილის 10 საათზე.

ბანკის წესდების მე-89 მუხლის თანახმად კრება კანონიერი იქნება, რწმუნებულთა რიცხვის მიუხედავად.

კრების განსახილველი კითხვებია:

1) ბანკის ოპერაციების ანგარიში 1916 წ. განმავლობაში. მოხსენებას წაიკითხავს ზედამხედველი კომიტეტისა და დამფასებელ კომისიის წევრები.
2) ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეთა შეერთებული მოხსენება საზოგადო თანხის განაწილების შესახებ.
3) ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
4) მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ.
5) ბანკის გამგეობის მოხსენება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შესაცვლელად.
6) შეერთებული მოხსენება ბანკის ოპერაციების გასაფართოვებლად.
7) ბანკის 1917 წ. ხარჯთაღრიცხვის განხილვა.
8) სათანამდებო პირთა ამორჩევა იმ ადგილებზე, რომელნიც უკვე განთავისუფლებულია: ზედამხედველ კომიტეტის 4 წევრისა, გამგეობის 2 წევრისა და ერთიც გამგეობის კანდიდატისა.

3—695—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

ხაშურის
სარაიონო კომიტეტი.

კვირას, 21 მაისს, დილის 12 საათზე, დ. ხაშურში

დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა **საერთო ყრილობა**. ყრილობაზე განხილული იქნება საპროგრამო და სატაქტიკო საკითხები.

დაესწრებიან აგრეთვე პარტიის მთავარ კომიტეტის წარმომადგენლები: **სპირიდონ კედია და ლელი ჯაფარიძე.**

საქ ეროვნ.-დემ. პარტიის ხაშურის სარაიონო კომიტეტი.

3—696—1

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის“ (ავტონომისტთა) გაზეთ

„ხალხის თავისუფლება“-ზე

(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

ივ. გომართელის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით და იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

გაზეთის ღირს: ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის“ სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба“ І. Имедашвили.

(10—638—10)

მოქალაქენო!

თქვენი მოგროვილი ფული „თავისუფლების სესხის“ ობლიგაციებში შეინახეთ.

ეს კარგი პრაქტიკულობაა, რადგანაც სახელმწიფოს პროცენტიანი ქაღალდები საუკეთესო სკივრია.

ეს პატრიოტობაა, რადგანაც სახელმწიფოს სამოქმედოთ თანხა უნდა.

ეს მოგებაა, რადგანაც ათ თუმნიანი ობლიგაცია მხოლოთ რვა თუმან ნახევარი ღირს. და ეს რვა თუმან ნახევარი წლიურად ხუთ პროცენტს იძლევა.

სახელმწიფო კი ამ ფულით ყუმბარებს, სურსათს, წყალქვეშა ნავებს და ჯარის სურსათ-ტანთსაცმელს ამზადებს.

იყიდეთ ობლიგაციები ჯგუფებმა, საამხანაგოდ, სანახევროდ!

1—692—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

თბილისის მე-X და მე-XII უბნის

საორგანიზაციო კომისია

მართავს კრებას მეათე და მეთორმეტე უბანში მცხოვრებ პარტიის თანამოაზრეთა და თანამგრძნობთა, „ახალ საკრებულოს“ (ხარფუხის საზაფხულო) კლუბში, მიხეილის ქუჩაზე № 129,

მაისის 21, კვირას, დილის 11 საათზე.

კრებაზე დასწრება შეუძლია პარტიის თანამგრძნობთ განურჩევლად სქესისა.

კრებას მოხსენდება პროგრამა და საორგანიზაციო საკითხები.

(1—694—1)

მოკლე ხანში თბილისში გამოვა

სამხატვრო-სალიტერატურო კრებული

კრებულში მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

მისამართი: თბილისი, რედაქცია „საქართველო“—ე. გეგეჭკორს.

რედაქტორები: სანდრო შანშიაშვილი და გ. ლეონიძე.

4—688—2 გამომცემელი ე. ი. გეგეჭკორი.

თბილისი, მაისის 19.

სასამართლოს განახლება

ახალი რევოლიუციური მთავრობა შეეცადა მოსამართლეთა ტრადიციულ „გადაუყენებლობის“ დაცვას. ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ განკარგულება ნოხდინა, რომ ადგილობრივ რევოლიუციურ ორგანოებს თავის ნებით არ გადაეყენებინათ სასამართლოს წევრნი და მით მოსამართლეთა „გადაუყენებლობა“ დაეცოთ. ჩვენ არ ვიცით ყოველგან შესრულეს იუსტიციის მინისტრის განკარგულება, თუ არა. იუსტიციის სამინისტრომ ამის შემდგომ თვით მიჰყო ხელი სასამართლოს გაწმენდას ძველი მოხელეებისაგან „გადაუყენებლობის“ პრინციპის მოურიდებლივ. მაგრამ ასეთი ცვლილებები სრულიად არ არის საკმაო. ძველი მოხელეების გადაყენება ოდნავადაც ვერ შესცვლის იმ ატმოსფერას, რომელიც სასამართლოებშია გამეფებული. რევოლიუციის ინტერესები მოითხოვს, რომ დაუყონებლივ მოხდეს სასამართლოს ძირითადი განახლება.

სასამართლოს ძირითადი რეორგანიზაცია რთული საქმეა, ის მოითხოვს არა მარტო მის წყობილებისა და შემადგენლობის გარდაქმნას, არამედ თვით ფორმალურ და მატერიულ კანონების გადაშინჯვას და თავისუფალი წყობილების შესაფერისად შეცვლას. ყოველივე ეს დიდს შრომას და დროს მოითხოვს. ამიტომ ამ რეფორმის სავსებით დაუყოვნებლივ მოხდენა შეუძლებელიც არის.

მიუხედავად ამისა, მიუცილებლივ საჭიროა, რომ რევოლიუციონური მთავრობა აქედანვე შეუდგეს სასამართლოს რეორგანიზაციას. თუ ძირითადი ცვლილებების მოხდენა საძნელოა, მსაჯულთა ამორჩევის წესის დამყარებას რა უშლის? ხალხის მიერ მსაჯულთა ამომრჩევლობის დამყარებით კი, საგრძნობლად შეიცვლება მოსამართლეთა დღევანდელი შემადგენლობა და ამას შემდგომ შესაძლებელი იქნება სასამართლოში სხვა უფრო საყურადღებო ცვლილებების მოხდენა. ხალხი ამოირჩევს ისეთს მსაჯულებს, რომელთაც ადგილობრივი ენები ეცოდინებათ და ამის შემდგომ დღეიდანვე მთელი საქმის წარმოება სამშობლო ენაზე თუ კიდევ საძნელო იქნება, ყოველ შემთხვევაში აქედანვე გაუქმდება ჩვენს სასამართლოებში „პერევოდჩიკობა“ და ხალხს საშუალება მიეცემა თავის ენაზე მიიღოს მონაწილეობა სამართლის წარმოებაში.

ასევე დღეიდანვე მოსახერხებელია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება. ყოველივე ასეთი ცვლილებები კი სასარგებლო წინასწარი მზადება იქნება იმ ძირითადი რეფორმებისა, რომელიც უნდა მოხდეს სასამართლოში თანახმად განახლებული ცხოვრებისა. ამ რეფორმების დაჩქარებას განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის პირობები მოითხოვს. დღევანდელი სასამართლო ქართველი ხალხისთვის სრულიად უცნობი, გაუგებარი და შეუძლებელია, რომ ასეთი მდგომარეობა კიდევ გაგრძელდეს.

ამ დღეებში სასამართლოს რეორგანიზაციის შესახებ ბჭობა ჰქონდა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს. მან საჭიროდ დაინახა, რომ დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნენ ის მოსამართლენი, რომელთა გადაყენება მოითხოვა თბილისის ადვოკატურამ. აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს აგრეთვე თბილისის ადვოკატურას დაჩქარებით შემუშავებას კანონპროექტისა შესახებ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა ამიერ კავკასიაში. ყოველივე ეს, რასაკვირველია, სასურველია, მაგრამ საჭიროა, რომ ახალი მთავრობა დაჩქარებით შეუდგეს აგრეთვე მსაჯულთა ამომრჩევლობის დამყარებასა და სასამართლოს შინაგანი წარმოების დემოკრატიზაციას.

მეტი თავდაჭერა

ძალის შემატება ისე ძნელი არ არის, როგორც მისი მოხმარება გონივრად და მიზანშეწონილად. საკუთარი ძალის მსხვერპლი ბევრი გამხდარა, როგორც კი დაჰკარგვია ამ ძალის გამოყენების სიბრძნე და ტაქტი. თითქოს ერთგვარი პირ უკუღმა პროპორციაც არსებობდეს ძალის შემატებასა და მის საზრიან მოხმარებას შორის. ისე გამოდის თითქოს პირველი მეორის ხელის შემშლელი იყოს. ბევრი მარცხისა და კატასტროფისა სათავე სწორედ აქ მარხია. საჭიროა დიდი გამოცდილება, მტკიცე ხასიათი და მაღალი გონიერება, რომ შენი ძალა შენივე დასუსტებისა და დაცემის მიზეზად არ გადაიქცეს.

დღეს-დღეობით მთელი შეიარაღებული ძალა და მშვიდობიან მცხოვრებთა სიმპატია მათ მხარეზეა, ვინც რუსეთს ჰმართავს და გამგებლობს. ჯარი დროებით მთავრობის და სხვა და სხვა მის დამხმარე კომიტეტების ხელშია; მილიცია, საპოლიციო ფუნქციებს რომ ასრულებს, პირდაპირ ახალი მთავრობის შექმნილია. სიმპატია და ერთგულება ყველა ამ ძალებისა, ისე როგორც უიარაღო მცხოვრებთა ზოგან ზედმიწევნილია და სრული, ზოგან კიდევ—არა. კერძოდ საქართველოსა და ქართველ ხალხს მთელს იმპერიაში პირველი ადგილი უჭირავს ძველი რეჟიმის სიძულვილსა და ახლისათვის თავდადებაში. ბევრ სპეციფიურ მიზეზთა გარდა, ამ მოვლენაში უდიდეს როლს ეროვნული მომენტი თამაშობს. თუ სადმე შეუძლებელია დამყარებული თავისუფლების წინააღმდეგ გამოლაშქრება, ეს სწორედ საქართველოში. პარადოქსად ვერ ჩაითვლება, თუ ვიტყვით, რომ, სწორედ ამიტომ საქართველოში ყოველი მოურიდებელი ნაბიჯი უფრო ადვილად წარმოშობს არა საკონტრ-რევოლიუციო მოქმედებას, რომელიც არსებითად ახალი რეჟიმის წინააღმდეგ იქნება მიმართული, არამედ ერთგვარ უკმაყოფილებასა და შეხლა-შემოხლას ამ რეჟიმის შეიარაღებულ აგენტებთან, თუ ამათ წარამარა ხელი მიჰყვეს უსაბუთო დემონსტრაციებს, მოჭორილ და მოგონილ კონტრ-რევოლიუციურ მოძრაობის ვითომდა ჩასაქრობათ.

ამ ნიადაგზე შეიძლება ბევრი უსიამოვნება აღმოცენდეს და კიდევ უფრო მეტი სამწუხარო შედეგები. და რადგანაც ჩვენში ფაქტიური ძალა დღეს-დღეობით ერთი განსაკუთრებული პარტიის, სოც.-დემოკრატიის ხელშია, ამიტომ გასაკვირალიც არ იქნება, თუ რომ საზოგადოებრივმა აზრმა ეს პარტია დასახა ამგვარ სამწუხარო ამბების მიზეზად და ავტორად. ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს მივუთითოთ ამგვარ მოსალოდნელობაზე ს.-დ. პარტიას, რომელიც სხვა და სხვა აღმასრულებელ კომიტეტის სახით მმართავს საქართველოს ცხოვრებას და ამ თავითვე გავაფრთხილოთ იგი. გვგონია, რომ დროზედ გაფრთხილება, სწორედ კარგი დახმარებაა. იყო რამდენიმე მაგალითი, რომ შეიარაღებული ძალა პარტიულის მიზნით გამოიყენეს. ეს მოხდა რევოლიუციის პირველ ხანებში, როდესაც ყოველი ადგილობრივი ორგანიზაცია ავტონომიურად მოქმედებდა, სხვების დაუკითხავად. ასეთი მოვლენები რუსეთშიაც უნდა ყოფილიყო, თორემ უამისოდ გაუგებარი იქნებოდა მინისტრ კერენსკის ბრძანება, რომ შეიარაღებული ძალები პარტიულ პროპაგანდისა და ორგანიზაციის შეკვრის დროს არამც და არამც არ უნდა იქნან გამოყენებულიო. რაც მოხდა ისიც საკმაოა, რომ კიდევ ახალ-ახალი შეცდომები არ ჩავიდინოთ, ხოლო მოსალოდნელი კი არის, რომ ამ შეცდომებს კიდევ განიმეორებენ, რომ სამწუხარო შედეგებს კიდევ ადგილი ექნება.

ასე მაგალითად, თიანეთის მაზრაში ჯარის გაგზავნა განუზრახავს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს. გაუგებარია, თუ რა მიზეზითა და რა აუცილებლობის ძალით.

როგორც ვიცით, ხევსურებსა და ფშავებს ქისტებისაგან მოსვენება არ აქვთ. ქისტები თავს ესხმიან ფშავ-ხევსურთა სოფლებს, უბუგავენ სახლკარს, სტაცებ საქონელს და ქისტეთში მიერეკებიან.

ომამდე ფშავ-ხევსურნი ქისტებს უმკლავდებოდნენ და საკუთარის ძალით თავს იცავდნენ. ამ ომის დროს ძალთა ურთიერთობა ქისტების სასარგებლოდ დაირღვა. როგორც მაჰმადიანები, ქისტები ჯარში არ გაუყვანიათ და ყველა შინ დარჩა. ფშავ-ხევსურნი კი ჯარში წაასხეს. ეს გარემოება ქისტებმა გამოიყენეს და ფშავ-ხევსურთა სოფლებზე თავდასხმას მოუხშირეს. როცა ძალიან გაუჭირდათ, ფშავ-ხევსურნი ძველ რეჟიმის დროს თბილისს ჩამოვიდნენ და სთხოვეს მთავრობას, ამიერიდან მაინც სასალდათო კაცებს ნუ წაგვართმევთ, თორემ ქისტებმა ლამის არის სულ ერთიანად აგვიკლონო. ამასთან ერთად იარაღიც სთხოვეს თავდაცვისათვის. ძველმა მთავრობამ შეიწყნარა ფშავ-ხევსურთა თხოვნა. ამგვარისავე თხოვნით მიმართეს ეხლა-ხან ახალ მთავრობასაც. სჩანს საქმის გარჩევაში კარგად არ შესულან და თხოვნაც არ შეუწყნარებიათ. გასაკვირია თბ. მუშათა დეპუტ. საბჭოს თაოსნობა ამ საქმეში და მ[illegible] განზრახვა თიანეთის მაზრაში ჯარის გაგზავნისა. რუსეთის გადაკარგულ გუბერნიების გლეხები, რომელნიც მოჰყვებიან თიანეთში გასაგზავნ ჯარში, აბა რას გახდებიან ხევსურეთის კლდეებსა და მთებში. ისინი ვერ იცხოვრებენ და ვერც დაბანაკდებიან ფშავ-ხევსურეთისა და ქისტების მთიან საზღვარზე და ქისტებისაგან ფშავ-ხევსურთ ვერ დაიფარავენ. ოცი რუსი ჯარის კაცი ვერ გააკეთებს იმას, რასაც გააკეთებს ერთი ხევსური, ან ფშავი, რომელმაც ზედ მიწევნით იცის ყოველი მტკაველი მიწა და ყოველი ქვა თავის სამშობლო კუთხისა. რამდენი ჯარის კაცის გამოყვანაც შეეძლება ხევსურეთიდან, ოცი იმდენის გაგზავნა დასჭირდება თბ. მ. დ. საბჭოს და მაშინაც საეჭვოა ქისტების თავდასხმის არიდება. ისევ ის არ სჯობია, რომ ეს ერთი ოცად მეტი ჯარი უფრო გამოსადეგ ადგილას გაიგზავნოს და ფშავ-ხევსურეთის დაცვა ისევ ფშავ-ხევსურეთს მიენდოს. თუ გაგზავნილი რუსის ჯარის კაცები გაკეთებით ვერაფერს გააკეთებენ, სამაგიეროდ, წახდენით ბევრის წახდენა შეუძლიანთ და უწინარეს ყოვლისა სწორედ ამის უნდა გვეშინოდეს.

ასეთივე შეცდომად უნდა ჩაითვალოს რაჭა-ლეჩხუმში შეიარაღებულ ძალების გაგზავნა თავად ლევან დადეშქელიანის განკარგულებაში, რომელი დადეშქელიანიც უწინარეს ყოვლისა პროპაგანდისტია სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციისა რაჭა-ლეჩხუმის რაიონში, სადაც პარტიულ პროპაგანდის ნიადაგზე უკვე რამოდენიმე უსიამოვნება მომხდარა. ამ ნერვიულ ღელვების ხანაში, უნდა ვერიდოთ ჯარის კაცთა რაზმების წარა-მარად გაგზავნ-გამოგზავნას. ეს ღონისძიება უნდა იყოს მხოლოდ უკანასკნელი და სამწუხარო ღონისძიება, რომელსაც მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ, როდესაც თავისუფლების საქმეს რაიმე ხიფათი მოელის.

ხ. კედია.

რევოლუცია

დეპეშები

მინისტრი ნეკრასოვი

რეველი. მაისის 13. დღეს დილით მოვიდა გზათა მინისტრი ნეკრასოვი. ხალხი დიდის ამბით შეეგება. საქალაქო თეატრში მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც ხალხს მოუწოდებდა მთავრობას მხარი დაუჭირეთო. დამსწრენი ოვაციებს უმართავდნენ მას. საღამოთი მინისტრი კიევში გაემართა.

ბნელი ძალები

სარატოვი. მაისის 14. სამხედრო კომიტეტმა ცნობები მიიღო, რომ ქალაქში ყოფილ ჟანდარმებს და პოლიციელებს შეუდგენიათ „შავი საზოგადოება“ კონტრ-რევოლიუციის მოსაწყობად. გუბერნიის კომისარი და აღმასრულებელ კომიტეტის წევრები ამოუნიშნიათ, რომ ერთსა და იმავე ღამეს ერთბაშად დაეხოცათ. სასტიკი ზომები მიიღეს ამ საზოგადოების დასაშლელად. საზოგადოება თხოულობს მათს დაპატიმრებას.

უპრეზიდენტო რესპუბლიკა

კამენეც-პოდოლსკი. მაისის 14. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის დელეგატთა ყრილობის საპოლიტიკო სექციამ რეზოლუცია მიიღო და რუსეთში უპრეზიდენტო დემოკრატიულ რესპუბლიკის შემოღება სასურველად სცნო. რესპუბლიკაში ერთი პალატა უნდა იყოსო, ოთხ წევრიან საარჩევნო უფლებითო. შემოღებული უნდა იქნეს რეფერენდუმი და საკანონმდებლო რეფერენდუმიო. ფედერატიული რესპუბლიკა ყველამ უარ ჰყო.

ფლოტის მანიფესტაცია

ჰელსინგფორსი. მაისის 15. მაისის 11-ს ნავთსადგურიდან მიმავალმა ნაღმოსნებმა „პობედიტელმა“, „ზაბიაკამ“, გრომმა“ და „ორფეიმ“ გვერდს ჩაუარეს სხვა გემებს და პლაკატი აფრიალეს. პლაკატს ეწერა: სამშობლო ვალის შესრულებასა გვთხოვსო. მათ აგრეთვე პლაკატით უპასუხეს, ჩვენს ვალს შევასრულებთო. სულით და გულით თქვენთანა ვართო. იგრიალა მარსელიეზამ და გაისმა „ვაშა!“ მანიფესტაციამ საერთო ხასიათი მიიღო.

მუშათა და ჯარისკაც. დეპ. საბჭოს მოწოდება.

პეტროგრადი. მაისის 13. ამხანაგო ჯარისკაცებო! ორი თვეა, რაც იმის მოლოდინში ვიყავით, რომ ჩვენ მიერ რევოლიუციონურ გზით მოპოვებულ უფლებას კანონიერი სახე მოეპოვებინა. როდესაც რევოლუციურ მებრძოლთა რიგებში ჩავდექით, ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ნიშნავდა ცარიზმის ბორკილებიდან განთავისუფლებას. დღეს ეს ბორკილები მოხსნილია. რევოლუციამ ყველანი გაგვათანასწორა. კანონის დადგენილებით ჯარისკაცთა და აფიცერთა შუა განსხვავება აღარ არსებობს, თუ მომქმედ ჯარში არა სდგანან. დეკლარაციის მე-12 მუხლის ძალით სამხედრო მისალმება არ არსებობს იმ მონურ სახით, როგორც ეს იყო ძველი მთავრობის დამხობამდე. ამიერიდან ჯარისკაცი მოქალაქე გახდა და იმას მიესალმება, ვისაცა ჰსურს. გაუმარჯოს თავისუფალ შეგნებულ ჯარისკაც-მოქალაქეს! გაუმარჯოს სახალხო თავისუფალ არმიას! რევოლუციონურს არმიაში დისციპლინა ხალხის ენთუზიაზმთან ერთად იქნება. მთელს ქვეყანას მალე დავუმტკიცებთ, რომ მოქალაქე-ჯარისკაცთა არმია გაცილებით ძლიერია, ვიდრე ძველი რეჟიმის არმია!

ნეკრასოვი კიევში.

კიევი. მაისის 15. მინისტრმა ნეკრასოვმა რკინის გზის კომიტეტებს განუცხადა, 1 ივლისიდან შემოღებული იქნება ნახშირის წარმოების მონოპოლია. ყოველს სადგურზე დაარსდება საგანგებო სასამართლოები იმ ჯარისკაცთა საქმის განსახილველად, ვინც უწესოებას ჩაიდენს.

მღვდლების დარბევა.

რიაზანი. მაისის 15. რამდენიმე სოფელში მღვდლებს უპატიოთ ეპყრობიან. სოფ. კოლონსაში შეუცვივდნენ მღვდელს, გაჩხრიკეს მისი სახლობა, ჩამოართვეს ყველა დოკუმენტები და თანაც განუცხადეს: საეკლესიო მამულები ჩამორთმეულიაო. მღვდელს დასცინოდნენ, ათასგვარ შეურაცხყოფას აყენებდნენ. სოფ. ჩუჩილოვკაში ჯარისკაცები მუშებს მუშაობაზე ხელს აღებინებენ და დარბევით ემუქრებიან. ადგილობრივი მმართველობა მეტად უძლურია მათ რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს.

რევოლუცია და გერმანელი ქვეშევრდომი

ოდესა, მაისის 15. რუსეთში მცხოვრებ გერმანელთა საზოგადო ყრილობა მოხდა. კრებას დაესწრო 2000 კაცამდე. თავმჯდომარე რეიხერტმა მცხოვრებთ განუცხადა, ის ჯარის კაცები, ვინც გერმანული გვარისაა, ყოველთვის დამცირებულნი არიან, აფიცრის ღირსებას არ აძლევენ, ჯაშუშობასა სწამებენო. ამის შესახებ გუჩკოვს მოხსენებით მიჰმართეს, მაგრამ მოხსენება უპასუხოდ დარჩა. გუჩკოვმა არ მოისურვა გერმანელების უფლებრივი გათანასწორება. სახელმწიფოს სათათბიროს წევრმა ლიუცმა განაცხადა: ძველმა მთავრობამ საერთო მოსყიდვით ის სიკეთე გვიყო, რომ გერმანელებს ყველანი ზურგს გვაქცევენო. სათათბიროს ერთი მესამედი მაინც ხელს არ მართმევდა, როგორც გერმანელსაო. შემდეგ ორატორი შეეხო მოქმედ პარტიების პროგრამებს. ორატორი სოციალისტთა წინააღმდეგია, ვინაიდან კერძო საკუთრებისადმი მისწრაფება მეტად ძლიერია ყველა გერმანელებშიო. გერმანელები არც ერთს არსებულს პარტიას არ მიემხრობიან. მხოლოდ იმ ორგანიზაციაში შევლენ, რომელიც ეხლა არსდება დემოკრატიულ რესპუბლიკანების სახელით.

გლეხთა თვითნებობა

ჟიტომირი, მაისის 13. გლეხებმა კერძო მესაკუთრეთ ტყეები ჩამოართვეს და თავიანთ ნებაზე ხმარობენ.

ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრის დეპეშა

პარიზი, მაისის 10. ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ტერეშჩენკოს საპასუხო დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც მადლობას უძღვნის, რომ რუსეთი მზად არის ომი სრულ გამარჯვებამდე მიიყვანოს და მით უზრუნველჰყოს ბელგიის აღდგენა და თავისუფლება. ბელგიის მთავრობა რუსის ჯარს გამარჯვებასა და დიდებას უსურვებსო.

ლორდ სესილი და ომის მიზნები

ლონდონი, მაისის 10. (მიღებულია ფოსტით) თემთა პალატაში ლორდ სესილმა სთქვა: ბრიტანეთის ომის სურვილები იოტის ოდენადაც არ ეწინააღმდეგება რუსებისას. ყოველივე იმპერიალისტური მისწრაფება ჩვენთვის უცხოა. მე სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ რუსეთის ახალი მთავრობის უკანასკნელი განცხადება ჩვენი პოლიტიკის სრული გარანტიააო.

მუშათა მანიფესტაცია.

ხრისტიანია. მაისის 12. აქ მოხდა მუშათა მანიფესტაცია ცხოვრების გაძვირების გამო.

თავ. ლვოვის მოწოდება უწესოების წინააღმდეგ.

პეტროგრადი. მაისის 16. მინისტრთა თავმჯდომარემ საგუბერნიო კომისარებს შემდეგი თხოვნით მიჰმართა: „ჩემს სახელობაზე და შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე აუარებელი ცნობები მოდის სხვა და სხვა გუბერნიებში მომხდარ უწესოების შესახებ. დღესაც ბევრგან ჰხდება უმზგავსი ბოროტმოქმედება, გლეხთა თვითნებობა, მემამულეთა დაჭერა, მათი ბინების ჩხრეკა, მოხელეთა თანამდებობიდან გადაყენება, ქონებათა გატაცება, ყაჩაღობა, მცხოვრებთა თავზე გარდასახადების გაწერა, ბრბოს აღელვება ადგილობრივ მმართველთა წინააღმდეგ და მრავალი სხვა. ასეთი საქციელი, სადაც უნდა იყოს, უნდა დაგმობილ იქმნეს და ალაგმული. ასეთ უწესოებასთან ბრძოლა მთავრობის მორიგ საკითხს შეადგენს. გთხოვთ ყველას დაგვეხმაროთ, სასტიკი ზომები მიიღოთ ამგვარ უწესოებათა მოსასპობლად, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს მთელი რუსეთის ცხოვრებაში.

აფიცერთა დეპ. ყრილობა

პეტროგრადი. მაისის 11. აგერ ორი დღეა კამათი არ დასრულებულა იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაში უნდა იყვნენ აფიცრობა დროებით მთავრობასთან. მეტი წილი იმ აზრისაა, რომ მხარი უნდა გავუწიოთო; ზოგი კი იმ აზრს იცავენ, რომ მხოლოდ მუშათა საბჭოს და ჯარისკაცთა საბჭოს მხარი უნდა დავუჭიროთო. იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ამტკიცებდნენ, რადგანაც მთავრობის დღევანდელს შემადგენლობაში მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლებიც შევიდნენ, ეხლა უფლება არა გვაქვს რომ ნდობით არ აღვჭურვოთ დღევანდელი გამგებლობაო.

ყალბი ცნობა

პეტროგრადი. მაისის 11. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ცნობა, ვითომც გუჩკოვის მიერ სამხედრო მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა მეტად სწყენოდეთ შავი ზღვის მეზღვაურებს და ეთხოვნოთ მისთვის, ისევ თქვენს თანამდებობაზე დარჩითო, ტყუილი გამოდგა. მეზღვაურთ ამისთანა თხოვნით არავისთვის მიუმართნიათ.

ჯარისკაცთა ყრილობა.

პეტროგრადი. მაისის 11. სამხედრო მინისტრმა ნება დართო პეტროგრადში მოხდეს ჯარისკაცთა ყრილობა მაისის 25. რუსეთის სამხედრო კავშირები გაგზავნიან თავიანთ დელეგატებს. კავკასიიდან 30 დელეგატი გაიგზავნება. ცნობების გასაგებად მისამართი: პეტროგრადი, სადოვაია, 26. პაჟთა კორპუსის ყოფილი ბინა. ტელეგრამისთვის: პეტროგრადი, ლეხ.

გლეხობა და ეპ. ევლოგი.

ჟიტომირი, მაისის 14. გლეხობა ძალიან აღელვებულია ეპ. ევლოგის მოქმედებით, რომელიც არავითარ ზომებს არ იღებს სამღვდელოების შავრაზმულს ქადაგების წინააღმდეგ. გლეხებმა შავრაზმელთა ნაცვლად ამოირჩია გამოქცეული მღვდელი იოანე გალასი. ევლოგი ხალხის თხოვნას არ იწყნარებს. აღელვებული გლეხები ამბობენ, თუ სამი დღის განმავლობაში ჩვენი თხოვნა არ იქმნა დაკმაყოფილებული, მაშინ ყველა მღვდლებს ოჯახებიანთურთ ჩვენ თვითონ გავრეკავთო.

დემონსტრაცია ფრიდრიხ ადლერის გამო.

მოსკოვი, მაისის 10. ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯის ოქმის გამოქვეყნების გამო, მოსკოვში მუშათა დიდი დემონსტრაცია მოხდა. დემონსტრანტებმა მთავარი ქუჩები შემოიარეს, სიმღერებითა, მუსიკითა და ამართულ პლაკატებით, სადაც ეწერა: ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯას პროტესტს ვუცხადებთო. პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდითო, განთავისუფლეთ თავისუფლებისთვის მებრძოლნიო, ძირს სიკვდილით დასჯაო. დემონსტრაციაში მონაწილეობდა გარნიზონი. ბევრგან მიტინგები გაიმართა.

ჯარის კაცთა თვითნებობა.

კიევი, მაისის 14. ნავთსადგურზე 150 ჯარის კაცმა თავი მოიყვარა და ჩერნიგოვში წასასვლელად მოითხოვა დაუყოვნებლივ მიეცათ თავისუფალი გემი. როდესაც განუცხადეს, თავისუფალი გემი არ არისო, ჯარის კაცები აღელდნენ, შესცვივდნენ სამგზავრო გემში, მგზავრები გამოლალეს და მათი ადგილები დაიჭირეს. ექსცესების თავიდან ასაცილებლად გემი დაუთმეს, მაგრამ ჯარის კაცები ამან არ დაამშვიდა. მათ ერთი აფიცრის ხელმძღვანელობით თავიანთი თავი ველურ დივიზიის წევრებად გამოაცხადეს, ამიტომაც უწესოებას განაგრძობდნენ. მალე გამოწვეულ იქმნა კომენდანტი, რომელმაც წესიერება აღადგინა. აფიცერი დაჭერილ იქმნა. იგი აღმოჩნდა უდოკუმენტო, სრულიად უცნობი ადამიანი. მასთან მყოფმა ჯარის კაცებმა განაცხადეს, ამ აფიცერმა მოგვკრიბა სხვა და ადგილას და წაგვიქეზა, მე მოგიხერხებთ სამშობლოში უსასყიდლოდ დაბრუნებასაო.

ძარცვა-გლეჯა.

რომანოვო-გლებსკი. მაისის 14. გაძარცვეს ქალაქის სამმართველო. ქურდებმა ფანჯრიდან გადაიტანეს სქელი მუხის ყუთი, რომელიც იქვე ღელეში გასტეხეს და წაიღეს ფული, ობლიგაციები და საპასპორტო წიგნები. ქურდობა გახშირდა. მცხოვრებთ შიშის ზარი დასცეს. მათი თარეში აიხსნება ადგილობრივ მილიციის სისუსტის გამო, რომელიც მძარცველთ ვერ უწევს შესაფერს წინააღმდეგობას.

ხალხის თავისუფლების პარტიის წინააღმდეგ

ხარკოვი. მაისის 13. მუშათა საბჭოს დადგენილებით სტამბა „უტროს“ რეკვიზიცია მოახდინეს, რომელიც ნაყიდი იყო ხალხის თავისუფლების პარტიის გაზეთის გამოსაცემად. რეკვიზიციის შესახებ სტამბის პატრონებმა პროტესტი განაცხადეს და ეს ამბავი დაწვრილებით შეატყობინეს თავ. ლვოვს, კერენსკის და პერევერზევს.

აგრარული მოძრაობა

კიევი. მაისის 14. გლეხები ესწრაფებიან მიწის ხელში ჩაგდებას. ამის შესახებ დიდი დავა ატყდა თვით ჯარის კაცებშივე. ნაწილი მხარს უჭერდა გლეხებს, ნაწილი კი იმ აზრისა იყო, რომ გლეხების ასეთი საქციელი მდგომარეობას გაამწვავებს და ანარქიას ხელს შეუწყობსო. საბედნიეროდ დავა მშვიდობიანად დასრულდა. გლეხებს მიწა დაეთმოთ. მუშაობას შეუდგნენ კიდეც.

აფიცერთა დელეგატების ყრილობა.

პეტროგრადი. მაისის 14. აფიცერთა დეპუტატების კრებამ ხმის უმრავლესობით დაადგინეს, მოწვეულ იქმნას პირველი ივნისისთვის მთელი რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოთა ყრილობა, რათა რუსეთი იხსნან ანარქიისაგან და კონტრ-რევოლიუციისაგან. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ერთი ძლიერი მთავრობა, ასეთს მთავრობას წარმოადგენს დღევანდელი კოალიციონური მთავრობა, რომელსაც დამფუძნებელ კრებამდე ყველამ ერთსულოვნად უნდა დაუჭიროს მხარი.

ბრძოლა ლოთობასთან.

პეტროგრადი. მაისის 15. მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭო ამით მიმართავს რუსეთის მოქალაქეებს, რომ უკანასკნელი ცნობებით პეტროგრადში და საზოგადოდ მთელს რუსეთში გახშირდა ლოთობა, რის გამოც ჰხდება ათასგვარი უწესოება, ჩხუბი, რბევა, დაწიოკება, ამ ჟამს უნდა ბოლო მოეღოს. დაე, ყველა ერთსულოვნად ებრძოლოს მას. თვითმპყრობელობის დაცემასთან ერთად, დაე, მოისპოს ლოთობაც, როგორც მწვანე ვეშაპი ძველი შავბნელი ცხოვრების მიერ წარმოშობილი ჭაობისა...

რუსეთის გლეხთა ყრილობა.

პეტროგრადი. მაისის 15. დღევანდელს კრებაზე ყრილობამ თავის რეზოლიუციაში შესწორება შეიტანა, რომლითაც მიჰმართავს დროებით მთავრობას და მოკავშირეებს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოსაგდებად. ყრილობა აგრეთვე ჰკიცხავს დაძმობილებას ფრონტზედ. შემდეგ მოისმინეს გერმანულ ტყვეობიდგან დაბრუნებულ ექიმ სმირნოვის მოხსენება რუსის ტყვეებზე გერმანეთ-ავსტრიაში. სმირნოვი საჭიროდ სთვლის მიჰმართონ ყველა ქვეყნების დემოკრატიას სასტიკი პროტესტით ამ გვარ დაჩაგვრის წინააღმდეგ და მიჰმართონ დროებით მთავრობას თხოვნით, რომ ტყვეების დასახმარებლად ფული გადასდოს. სმირნოვის წინადადება ერთხმად მიიღეს. ყრილობამ დაადგინა, რომ პურის მონოპოლია და მტკიცე ფასები აუცილებელიაო. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია სოფლის მეურნეობას დახმარებას აღმოუჩინოს სამეურნეო იარაღით, თესლეულობით, გრძელ ვადიანი სესხით და სხვა.

მინ. იაკუბოვიჩის სიტყვა.

პეტროგრადი. მაისის 15. თავრიდის სასახლეში ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობაზე სამხედრო მინისტრის ამხანაგმა იაკუბოვიჩმა სთქვა: რუსეთის ბედი და მოპოვებულ თავისუფლების შერჩენა საერთო შეტევის საკითხთან არის დაკავშირებულიო. დღეს მთელს ფრონტზე სრული სიწყნარეა. მტერი თავის ძალებს მოკავშირეთა ასპარეზისკენ ერეკება. ჩვენი მოკავშირენი სისხლიდან იცლებიან, გვევედრებიან შველას, ეს შველა მაშინ შეიძლება, თუ ჩვენც იერიშს მივიტანთ. ფართე ოპერაციების დასაწყებად ჩვენ ყველაფერი გვაქვს, გარდა სულიერი სიმტკიცისა. ტრანსპორტის საკითხის გამო, მინისტრის ამხანაგმა სთქვა: ტრანსპორტის საქმე დიდად გამოკეთდა რევოლიუციის პირველ დღეებში. სამწუხაროდ მაისიდან ისევ ცუდ მდგომარეობაშია. ამის მიზეზი ეხლა კი ჯარისკაცები არიან. მაისის 15 დროებითი მთავრობა აღძრავს საკითხს რკინის გზის სადგურებზე სამხედრო-სახალხო სასამართლოების შემოღების შესახებ. ამ სასამართლოებს დაევალებათ რაიმე უწესოების ჩამდენთა საქმის გარჩევა. რაც შეეხება დეზერტირებს, აქ მთავრობა უძლურია რამეს გახდეს, თუ თვითონ ჯარისკაცებმა და გლეხობამ რამე არ იღონეს. ლოთობაც გახშირდა, რის წინააღმდეგ ახალი კანონ-პროექტი მუშავდება. თავდაცვისთვის მუშაობა საზოგადოდ მწყობრად მიდის. ტყვია-წამალიც საკმაოდ გვაქვს. თითქმის ნახევარს წელს გვეყოფა, გამუდმებული სროლაც რომ იყოს.

უწესოებანი

ვასილსურსკი, მაისის 15. მამაევის მამულში გლეხებმა მემამულენი დაითხოვეს და თვითვე დაუწყეს მიწას მოხვნა. მემამულის ჩივილის შემდეგ ადგილობრივმა კომისარმა თავს იდვა საქმის მოგვარება.

წერეთელი მოსკოვში.

მოსკოვი, მაისის 14. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი წერეთელი დღეს ჩამოვიდა მთელი რუსეთის ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთა კრებაზე დასასწრებლად.

მოსკოვი, მაისის 15. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ყრილობაზე მინისტრ წერეთელს დიდის ამბით დაუხვდნენ. წერეთელმა ვრცელი სიტყვით მიჰმართა, დაახასიათა განახლებულ დროებითი მთავრობის მიზნები. უმთავრესი მიზნები უკვე განხორციელებულია. არავის ნებას არ მივცემთ ძალმომრეობა იხმაროს ვიდრე დაბეჯითებით ზავის საუკეთესო პირობებს არ მივიღებთ, ჩვენ მტკიცედ დავიცავთ თავისუფლებას, ბრძოლის ველს და რევოლუციონურ რუსეთის მიერ დაპყრობილ პოზიციებსაო. შემდეგ მინისტრი შეეხო ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა საკითხს და აღუთქვა, ყველას თხოვნა შეძლების კვალობაზე დაკმაყოფილებული იქნება და ჯამაგირები მოემატებათო. მინისტრის ყოველ სიტყვას მხურვალე ტაშით აჯილდოებდნენ. სიტყვის დასასრულს ოვაციები გაუმართეს.

ეროვნული საკითხი

დეპეშები

სტოკჰოლმი. (მოსულია ფოსტით). მაისის 10. ბულგარელთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დელეგატებმა განაცხადეს ჰოლანდია-სკანდინავიის კომიტეტის სხდომაზე, რომ აუცილებელია ბულგარელების ერთ სახელმწიფოდ შეერთებაო. ამას გარდა მოითხოვეს ბელგიის, რუმინეთის, სერბიის და მთაშავეთის აღდგენა. მათი აზრით თვითგამორკვევის ნება ყველა ერს უნდა მიეცეს, თუ კი ამას მოისურვებენ. ასეთნაირად უნდა გადაწყდეს ელზას-ლორენის საკითხიცო.

ფინლიანდიის საკითხი და კერენსკი.

ჰელსინგფორსი. მაისის 14. ფინეთის სოციალ-დემოკრატთა ორგანო „მიურომიესი“ სწერს: „კერენსკი რომ პირველად ჰელსინგფორსში მოვიდა სოციალ-დემოკრატთა პარტიამ წერილობით მიჰმართა და სთხოვა ფინელებს ქვეყნის მართვა-გამგეობის სახელმწიფოს მთავრის არჩევისა, სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების, სავაჭრო და ეკონომიურ ნიადაგზე, რომ რუსეთმა მშვიდობიანობის დროს ფინეთში ჯარი არ იყოლიოს და საერთოდ, სოციალ-დემოკრატთა პარტიამ სთხოვა ფინეთის სრული დამოუკიდებლობა გარდა საგარეო პოლიტიკისა“-ო. გაზეთის სიტყვით კერენსკიმ, გენერალ-გუბერნატორის თანაშემწის სიტყვით აუწყა პარტიას, რომ თქვენს თხოვნას ვიწყნარებო. მაგრამ, როდესაც სენატმა წარადგინა პეტროგრადში ფინეთის ავტონომიის პროექტი, კერენსკი თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა მას და თითქმის ეს ფინეთის მხრივ ომის გამოცხადებადაც სცნა, და სახალხო სახლში სიტყვის დროს გაუფრთხილებია კიდეც ფინელები. „გაფრთხილებამ—სწერს გაზეთი—საშინლად გაგვაკვირვა. ფინეთი უიარაღო და სუსტია და იარაღიც რომა გვქონდეს, ჩვენ რუსეთის ჯარისა და მეზღვაურთა წინააღმდეგ თავის დღეში არ წავალთ, რადგან მათი სული და გული ჩვენს უფლებათა სამართლიან გადაჭრასთან არის დაკავშირებული. რუსეთის მუშას, გლეხ-პროლეტარიატს და ფინეთის ხალხის უმრავლესობას ერთმანეთისა არ უნდა ეშინოდეს, ხოლო მინისტრის ასეთი განცხადება შეურაცხყოფაა ჩვენთვისაო“.

უკრაინელთა კორპუსები

კიევი. მაისის 14. გენერალმა ბრუსილოვმა და სამხედრო საზღვაო მინისტრმა კერენსკიმ ბჭობის დროს განიხილეს უკრაინელ კორპუსთა საქმე და შესაძლებლადაც სცნეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარში გამოეყოთ 3 კორპუსი, რომელსაც მხოლოდ უკრაინელი აფიცრები და ჯარისკაცები შეავსებენ. ხოლო არმიის გარდაქმნა ნაციონალურ პრინციპით საბჭომ სახიფათოდა სცნა.

უკრაინელ მხედართა ყრილობა

რიგა, მაისის 15 უკრაინელ მხედართა წარმომადგენელთა ყრილობა დამთავრდა. კრებას დაესწრო ჩრდილოეთ ფრონტის უფროსი გენერალი დრაგამიროვი, არმიის ხელმძღვანელი რადკო დმიტრიევი და ფრანგთა წარმომადგენელნი, რომელთაც ოვაციები გაუმართეს. დრაგამიროვმა იმედი გამოსთქვა, რომ უკრაინელები რუსეთის ყველა ერებთან ერთად მოკავშირეების გვერდით დაიცავენ სამშობლოს სახელსა და პატივს გერმანეთის მილიტარიზმის შესამუსვრელადაო. თავმჯდომარემ სტუმრებს მადლობა გადაუხადა და სხვათა შორის მოახსენა: უკრაინელებს არა ერთხელ დაგვინთხევია სისხლი ხალხისა და სამართლის გულისთვისაო. კრებამ დაადგინა: „ყველა უკრაინელები უნდა გავერთიანდეთ, რაშიაც ჩვენი პოლიტიკური რწმენა ხელს არ უნდა გვიშლიდესო. ყველანი ერთად უნდა ვცდილობდეთ მოვიპოვოთ უკრაინის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია რუსეთის ფედერატიულ-დემოკრატიულს რესპუბლიკაშიო. ამასთანავე შევუდგეთ ჩქარა გამოვარკვიოთ, რამდენი უკრაინელი იღებს მონაწილეობას დღევანდელს ლაშქრობაში. დამფუძნებელი კრება თუ მოახლოვებულია, ჩვენ მზად უნდა დავხვდეთ ჩვენი იდეალების განსახორციელებლადაო.

ომი და ზავი

დეპეშები

მთავარბანაკის ცნობა

პეტროგრადი, მაისის 16. **დასავლეთის, რუმინეთისა და კავკასიის ასპარეზზე** ჩვეულებრივი სროლაა.

მფრინავთა მოქმედება. მაისის 15. ღამე ჩვენი მფრინავები პრაპორჩიკი არგეევი და შტაბს-როტმისტრი სტარსკი თავს დაესხნენ მტრის სანგრებს სტანისლავოვის რაიონში და 4 ყუმბარა ჩააგდეს. დილით, 4 საათზე პოდგაიცაში მტრის 4 ჰაეროპლანი გამოჩნდა, მათ 40 ყუმბარა ჩამოაგდეს. ზიანი ვერა მოგვაყენეს რა. ჩვენმა მფრინავებმა მათ ბრძოლა გაუმართეს. მოკლულია მამაცი მფრინავი პრაპორჩიკი კაკორინი.

ამირბარ კოლჩაკის თავდასხმები.

სევასტოპოლი. მაისის 10. (ფოსტითაა მიღებული). ამირბარმა კოლჩაკმა მამაცური თავდასხმით ანატოლიის ნაპირებზედ სრულიად მოსპო ოსმალთა კაბოტაჟი. ზღვის ნაპირი აოხრებულია. ჩვენი ჰიდროპლანები ენერგიულად ჰმუშაობენ.

გერმანელების ცდა დაძმობილებისათვის.

მოქმედი ჯარი. მაისის 14. (დაგვიანებულია). ტყვეობიდან გამოქცეული ჯარისკაცები იტყობინებიან, რომ გერმანელთა მთავარ ბანაკიდან საგანგებოდ მოვიდნენ გერმანელი აფიცრები რუსის ჯარისკაცებთან დასაძმობილებლად და ამავე დროს კი ჯარს იერიშებისათვის ამზადებენ. ავსტრიელი აფიცრები ჯარს ეუბნებიან რუსეთში ანარქიასა და მიწის ძალით შეძენა ადვილიაო.

ბრაზილიის სავაჭრო გემის დაღუპვა.

რიო-დე-ჟანეირო. მაისის 15. პრეზიდენტმა ბრაზმა კონგრესს მოხსენება წარუდგინა გერმანულ წყალქვეშის მიერ ბრაზილიის სავაჭრო გემის დაღუპვაზე. პრეზიდენტის აზრით ამით ბრაზილიის ნაოსნობას და საგარეო ვაჭრობას საფრთხე მოელის და მთავრობა იძულებულია ზომების მისაღებად მოიხმაროს ბრაზილიის პორტებში მდგარი გერმანელთა წყალქვეშებიო.

მომქმედი ლაშქარი. მაისის 14. ავსტრიელი ტყვეები ამბობენ, აფიცრები გვეუბნებიან, რუსის ჯარში ანარქიაა, რუსის სალდათები მალე გაიქცევიან შინაო. ამიტომ მზად უნდა ვიყვნეთ, რომ გაქცეულებს გამოვუდგეთო. ჯერ იერიშებს არ დავიწყებთ, ახალი არტილერია მოგვივა და მაშინ იერიშები გაგვიადვილდებაო. რუმინეთის ფრონტიდან ზოგი ჯარი საფრანგეთის ფრონტზე გაჰგზავნეს. გერმანელების მთავარ-ბანაკი რუმინეთის ფრონტზე სრულიად დაბეჭდილ საავიტაციო გაზეთებსა ჰგზავნის.

გემ „კიუკა“-ს დაღუპვა..

რიო-დე-ჟანეირო. მაისის 13. მთავრობამ ოფიციალი ცნობა მიიღო გემ „კიუკა“-ს დაღუპვის შესახებ და ემზადება ამის თაობაზე კონგრესს მოახსენოს. პრეზიდენტმა დეპეშით მადლობა უძღვნა პუანკარეს, გემ „კიუკა“-ს მოსამსახურეთა გადარჩენაში დახმარებისათვის.

გემების დატყვევება.

ჰელსინგფორსი. მაისის 10. (მიღებულია ფოსტის). ბოტნიის ყურეში გერმანულმა წყალქვეშამ შვეციის 4 დაატყვევა. გემებს რუსეთისათვის სანოვაგე მოჰქონდა.

რუსეთი და ინგლისი.

ლონდონი. მაისის 11. (მიღებულია ფოსტით) სასურსათო მინისტრის ივენსის მდივანმა განაცხადა, რომ უკანასკნელ დროს ინგლისს შეძლება არა ჰქონდა დაეკმაყოფილებინა რუსეთის საჭიროებანი. სამინისტრო იძულებული იყო მუშა ხელის უქონლობის გამო შეემცირებინა რუსეთის მოთხოვნილება საქონლის დამზადებაში ისევე, როგორც ინგლისის მოქალაქეთა მოთხოვნილებას ამცირებდა.

„ფორვერტსი“ რიბოს სიტყვის შესახებ.

სტოკჰოლმი. მაისის 12. (დაგვიანებულია) „ფორვერტსი“ რიბოს სიტყვას არჩევს და ამბობს: „ამ საზარელ ომის სამი წლის განმავლობაში არც ერთს გერმანელს აზრათ არ მოსვლია ზავის ჩამოგდება ელზას-ლოტარინგიის დაბრუნებით, და თუ საფრანგეთს ჰსურს გერმანეთი ამაზე აიძულოს, მაშინ ომი კიდევ 3 წელს უნდა გაგრძელდესო.

პოლონელთა არმია საფრანგეთში.

პარიზი. მაისის 14. გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთში პოლონელთა არმიის მოწყობასა ჰფიქრობენ.

გემის დაღუპვა.

პარიზი. მაისის 10. (მიღებულია ფოჩტით) გერმანელმა წყალქვეშამ დაჰღუპა გემი „ოტაი“ დაიღუპა, 45 კაცი.

ბრიტანეთი და ამერიკა.

ლონდონი. მაისის 13 (დაგვიანებულია) რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ:-ბრიტანეთის მისიამ მოლაპარაკება დაასრულა შეერთებულ შტატებთან. მოლაპარაკებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბრიტანიისთვის, არამედ მთელი ქვეყნიერობისთვის. ყოველივე გაუგებრობა ამ ორ სახელმწიფოთ შორის თავიდან აცილებულია. პრინციპიარულად შეთანხმების სახსარი მონახულია, ეხლა დიდი ბრიტანეთი და ამერიკა ისეთ მეგობრულ განწყობილებაში არიან, როგორშიც ამ 125 წელიწადში არ ყოფილან: იყო მსჯელობა ლიგის“ კანონპროექტის შესახებ. შეეხენ აგრეთვე გერმანეთის გეგმას—დიდი იმპერიის შექმნას შუაგულ ევროპაში. გადასწყდა, რომ აუცილებლად საჭიროა რუმინეთის, სერბიის და მთა-შავეთის სრული აღდგენა. განახლებულ რუსეთის მიერ წამოყენებული ლოზუნგი — ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო არ განხილულა. მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება ვაჭრობის ურთიერთობის შესახებ, შეერთებული შტატები აღმოუჩენენ კომერციულ დახმარებას.

მოლაპარაკების შედეგია აგრეთვე ისიც, რომ დაარსდა შეერთებული კომისია, რომელიც განიხილავს ყოველივე საკითხს შეთანხმების სახელმწიფოების მიერ წამოყენებულს.

მოწაფეთა სამხედრო გაწვრთნა.

პეტროგრადი. მაისის 15. სახალხო განათლების მინისტრმა სავალდებულოდ არა სცნა მოწაფეთა სამხედრო გაწვრთნა და ამ საკითხის გადაწყვეტა პედაგოგთა ადგილობრივ საბჭოებს მიანდო.

სამხედრო სასწავლებლები.

პეტროგრადი. მაისის 15. სამხედრო უწყებაში არსდება საგანგებო სამმართველო სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებისა, რომელსაც ექვემდებარებიან ნიკოლაევის საზღვაო კორპუსი და აგრეთვე ომის დროის ყველა სამხედრო კურსები. საზღვაო სასწავლებელი, საგერდემარინო კლასები და სევასტოპოლის კორპუსი ერთს სასწავლებლად შეერთდება, რომელშიაც მიიღებენ ყველა საშუალო სასწავლებელ დამთავრებულთ.

რაღაც მიზეზების გამო დეპეშათა სააგენტოს დეპეშები რიგზე არ მოდის. დღეს ბევრი დეპეშა დაგვაკლდა. არ მოგვსვლია საფრანგეთისა, ინგლისისა და სხვათა ბანაკების ოფიციალი ცნობები.

რუსეთი და უცხოეთი

ხალხის სამართალი

ვინნიცა, მაისის 11. ხალხის სამართალი მატულობს. სამხედრო ორგანიზაციის ერთს მოხელეს ხალხმა თავისი მსჯავრი დასდო ცხენების ქურდობის გამო. მოხელეს ბრბო ყიჟინით შემოეხვია და უბრძანა, მაღალს ტრიბუნაზე ასულიყო და იქიდან საქვეყნოდ განეცხადებინა თვისი საქციელი.

მოძრაობა სპარსეთში

თეირანი, მაისის 10. (დაგვიანებულია გზაში) ანგლოფილთა გაზეთის „ასტრადინ“-ის რედაქტორი ძაიზნოსულტანი მოჰკლეს. სპარსეთის ზოგიერთმა დიდმა მოხელემ უსახელო წერილი მიიღო ირონიული რჩევით, ისევე უმეჯლისოთ განაგრძეთ ქვეყნის ძარცვაო.

არჩევნები თეირანში.

თეირანი, მაისის 10. თეირანში არჩევნების მოსახდენად საარჩევნო ფურცლები შაბათს დარიგდება.

ქარტეხილი ილინოისში

ჩიკაგო, მაისის 14. (დაგ.) სამხრეთ ილინოისში ქარტეხილმა დიდი ზარალი ჰქნა: მოკლულია 75 კაცი, ასობით დაჭრილია.

გაფიცვები საფრანგეთში

პარიზი, მაისის 14. (დაგვიანებულია) გაფიცვები გათავდა. გაფიცულნი დააკმაყოფილეს. შეიპყრეს აგიტატორები, რომლებიც ოსმალები და ბერძნები აღმოჩნდნენ.

საზიზღარი ბოროტ-მოქმედება.

ტამბოვი, მაისის 13. ლებიადინსკში საზარელი ხოცვა ჩაიდინეს ბოროტმოქმედებმა. ვაჭარ ნოვგოროდცევს შინ შეუცვივდნენ, ცხრა სული ამოჰხოცეს, მათ შორის 2 ბავშვი. რომ ეს სისასიზღრე დაემალათ, სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ბოროტმოქმედნი დაიმალნენ.

სახლის მდგმურების ჩივილი.

სარატოვი, მაისის 15. რაკი სახლის პატრონებმა მდგმურები ბლომად დაითხოვეს, ამ უკანასკნელებმა მიტინგი გამართეს და მთავრობას ტელეგრამით სთხოვეს ბინის ქირის საკითხები მოაწესრიგეთო. საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი მდგმურების მხარეს იჭერს.

ხულიგანობა და ლოთობა.

ტობოლსკი. მაისის 12. ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ჯარისკაცები საშინელს უწესობას სჩადიან. არ ეკრძალებიან ხულიგანების ექსცესებს, ლოთობამ უკიდურესი ხასიათი მიიღო. გლეხობა ყოველ ღონესა ხმარობს ალაგმონ ესენი.

უკანასკნელი დეპეშები

პეტროგრადის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა დელეგატების განცხადებით მათი გაფიცვის საქმე, რომელიც უცხო აგიტატორებმა აღძრეს და არა თვითონ მოსამსახურეებმა, უკვე მოსპობილია.

—

პეტროგრადის ეპარქიის ყველა ეკლესიებში მოხდა ეპარქიის სობორისათვის რწმუნებულთა არჩევნები, სობორი მიტროპოლიტს აირჩევს. კანდიდატებად დასახელებულ არიან: ანდრია უფიმელი, სერგეი ფინლანდიელი, ტიხონ ლიტოველი, ბენიამინე გდოველი და პროტოპრესვიტერი შაველსკი.

—

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა სენატორი რუაძე, თბილისის სასამართლო პალატის საქმეთა რევიზიისათვის. რევიზია დაკავშირებულია პალატის თავმჯდომარის ლაგოდას მოღვაწეობასთან.

—

პეტროგრადში, ფონტანკას მცხოვრებლებმა შეიპყრეს ორი ქურდი და ლინჩის სამართლით დასაჯეს. ქურდები საავადმყოფოში წაიყვანეს.

ალექსანდრეს ბაზარში ჯარის კაცმა შეიპყრო თავისი აფიცრის ნივთების ქურდები. ვაჭრებმა და ხალხმა ქურდები ლინჩის სამართლით დასაჯეს. ქურდები საავადმყოფოში წაიყვანეს.

ქრონიკა

კავკასია

◆ **რკინის გზის მღვდლების ამბავი.** მაისისის 16-ს, ქ. თბილისში ამიერ კავკასიის რკინის გზის მღვდლებმა, თავთავიანთ საჭირბოროტო კითხვების გამოსარკვევად მოიყარეს თავი. კრების მოწვევა წინადვე აცნობეს თავიანთ „კეთილ მოწესეს“ მღ. პოპოვს, რომელსაც ერთ ორ მღვდელთან თავისი უარი წინადვე განეცხადებინა, მაგრამ მაინც არავინ ფიქრობდა თუ ის კრების გამართვას და მსჯელობას წინაღუდგებოდა. მაგრამ მან კრება მაინც ჩაშალა და თავისი ტომის მღვდლები კი თავის ბინაზე მიიწვია. მისი ასეთი საქციელი დაჰგმეს მისივე ტომის ზოგიერთა მღვდლებმა. მღვდლების პროგრესიულმა ნაწილმა თავის რწმუნებულად თბილისში დასტოვა სამტრედიელი მღ. სილ. ხუნდაძე და მას მიანდო საქმის მოგვარება.

◆ **ყაჩაღები სარაყამიშში.** სარაყამიშიდან დეპეშით გვატყობინებენ: ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტმა აღმოაჩინა მთელი ჯგუფი ყაჩაღებისა და პროვოკატორებისა. ნაწილი უკვე შეიპყრეს, დანარჩენების დასაჭერათ ზომებია მიღებული. მაისის 13 საღამოს 8 საათზე გაცარცვეს ლტოლვილების კასა, წაიღეს 15 ათასი მან. ყაჩაღები მიიმალნენ.

◆ **გაზეთის გაძვირება.** გაზეთის ქაღალდის გაძვირების გამო ბაქოს გამოცემანი „ბაკუ“, „კასპი“ და „ბაკინეც“ 12 კაპეკად იყიდება.

◆ **„ამხანაგისათვის“.** ბაქოს სადგურზე თავის მოვალეობის შესრულების დროს მებარგემ მგზავრს „ამხანაგო“ უწოდა. მგზავრის გაოცებას საზღვარი არა ქონდა და მებარგულე სადგურის უფროსთან დააბეზღა. სადგურის უფროსმა იმ წამსვე ახსნა მებარგულეს ნომერი და სამსახურიდან დაითხოვა.

◆ **ქურთების გადმოსახლება.** ეს ერთი ხანია სამხედრო გამგეობაში ალაშქერთის რაიონიდან ქურთების გადმოსახლების საკითხი აღიძრა. შეერთებულმა კომიტეტმა შეადგინა საგანგებო კომიტეტი, რომელიც ამ გადმოსახლებას მოაგვარებს. ამ კომისიაში შევიდა აგრეთვე თბილისის მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოება და თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. კომიტეტი. კომისია ამ საქმისთვის ამ ჟამად სარიყამიშში არის. საქმის დასაწყებად და გადმოსახლებულების სურსათით უზრუნველსაყოფად გადადებულია 10.000 მანეთი.

◆ **მატარებლების მიმოსვლა მოსკოვ-როსტოვს შუა.** რკინის გზების გამგის განკარგულებით მარტის 5 დან შეწყვეტილი მიმოსვლა № 1 და 2 მატარებლებისა მოსკოვს და როსტოვს შუა განახლებულია. ეს მატარებელი ამ ჟამად I, II და III კლასის ვაგონებით დადის, მაგრამ საწოლი ადგილები გაუქმებულია. ამ მატარებლების მიმოსვლა შეთანხმებულია მატარებელ № 12 მიმოსვლასთან, რომელიც თბილისიდან საღამოს 6 ს. 18 წუთზე გადის და თბილისში ნაშუადღევს 1 ს. 20 წ. მოდის.

◆ **გამოძიება სამხედრო შეღავათიანთა შესახებ.** მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეჭვი აუღია, რომ ის მუშები, რომელნიც სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებულ იქმნენ იმიტომ, რომ ისინი ისეთ ქარხნებში მუშაობენ, საცა სამხედრო მასალა მზადდება, იქნებ სიმართლეს მოკლებულია, ნამდვილად იქნებ იქ არ მუშაობენო. ამის გამო კომიტეტს გადაუწყვეტია საგანგებო გამოძიება დანიშნოს სიმართლის გამოსარკვევად.

საქართველო

◆ **სურამის ამბები.** დღევანდელ ჩვენს კორესპონდენციაში სურამიდან, მოთხრობილ ამბის შესახებ, რედაქციას შემდეგი ცნობა მოუვიდა: სურამიდან ჩაიყვანეს დაჭერილები ექვსი კაცი. აღმასრულებელმა კომიტეტმა დატუსაღებულნი საქმის გამოძიებამდის გაანთავისუფლა. საქმე გუშინ საღამოს, მაისის 18-ს უნდა გამოეძიებინა კომიტეტს.

თბილისი.

◆ **ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა კრება.** ორშაბათს, მაისის 22, საღამოს სწორედ 7 საათზე, დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა საერთო კრება,—ოლღას ქუჩაზე, № 52.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა ამით აუწყებს, რომ მატარებლებზე ხშირად უწესოებანი ხდება. ჯარის კაცები ღვინოს იტაცებენ და საზიზღრად იქცევიან. ამიტომ გამგეობამ სასტიკად აღკრძალა ღვინის მიტანა სადგურებთან და მატარებლებით მისი ზიდვა.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 8 საათზე ქალთა უმაღლეს კურსების შენობაში (ანასტასიევის ქუჩა 22) მ. ნ. ვესელოვზოროვი წაიკითხავს ლექციას „საქალაქო არჩევნები ახალი კანონების მიხედვით“.

◆ **მრეცხავების გაფიცვა.** თბილისის ყველა სამრეცხველოების მომუშავეებმა, რომელთა დიდ ნაწილს ქალები შეადგენენ, ხელფასის მომატება მოითხოვეს, მაგრამ რადგან მოთხოვნილების არც ერთი მუხლი არ იქმნა დაკმაყოფილებული, გუშინ, მაისის 18-ს ყველამ თავი დაანება მუშაობას.

◆ **ცირკებში ჭიდაობა კვლავაც იქნება.** ქალ. აღმ. კომიტეტის შეკითხვაზე მილიციის უფროსმა განაცხადა, რომ ცირკის პატრონები ძალიან დააშინა კომიტეტის განკარგულებამ შესახებ ჭიდაობის აკრძალვისა და ყოველივე ღონეს ხმარობენ წესრიგის დასაცავად. ამის გამო აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაძლებლად სცნო ჭიდაობა აღარ აიკრძალოს.

◆ **სათადარიგოთა ოჯახების კრება.** დღეს, მაისის 18-ს, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში დანიშნულია ჯარის კაცთა ცოლებისა, დედებისა და დების ყრილობა. საგანი კრებისა ის არის, რომ გაითვალისწინონ თავიანთი მდგომარეობა და კავშირი შეჰკრან.

◆ **კრებები საადგილ-მამულო კომისიისა,** რომელიც ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტთან არსებობს, ოთხშაბათობით და შაბათობით იმართება. მოკლე ხანში დაარსდება საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო საადგილ-მამულო კომისიები და მომრიგებელი კამერები.

◆ **გაფიცვა გ. მ. ჩილინგაროვის სავაჭრო სახლში.** აგერ რამდენიმე დღეა, რაც გაიფიცნენ გევორქ მოსესის ძე ჩილინგაროვის მოსამსახურენი, რიცხვით 57 კაცი. მათ თავიანთს პატრონს ეკონომიური მოთხოვნილება წარუდგინეს. ჩილინგაროვმა მოსამსახურეებს არავითარი გადაჭრილი პასუხი არ მისცა და მოსკოვს წავიდა. ჩილინგაროვის ყველა ოთხი მაღაზია და საწყობი დაკეტილია. მოსამსახურენი თხოულობენ ჯამაგირების მომატებას 75—125%-მდე.

◆ **დეპეშები ფოსტით.** პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს დეპეშები გუშინ ფოსტით მოვიდა თბილისში.

◆ **კავკ. ფრონ. დელ. ყრილობა.** გუშინ, მაისის 18-ს, ჯარისათვის სურსათისა და საომარ მასალის მიწოდების შესახებ მოხსენებათა განხილვა იყო. ამ საკითხის განხილვის დროს პრესის წარმომადგენელნი და სხვა გარეშე პირნი დარბაზიდან დაითხოვნილ იქმნენ.

◆ **სურსათი.** მაისის 18-ს თბილისის საქალაქო სასურსათო კომიტეტმა მიიღო: 9 ვაგ. ფქვილი, 27 ვაგ. სიმინდი და 4 ვაგ. კარტოფილი.

ქუთაისი.

◆ **არეულობა ციხეში.** ა. გელაზაროვმა ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტში განაცხადა, რომ ქუთაისის ციხეში აღელვებაა. პატიმრები აღშფოთებულნი არიან იმითი, რომ მათი საქმეები ამდენ ხანს არ არის გამოძიებული. ურატაძე წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას მკაცრი ზომები ციხის მიმართ, ციხის კომისარი დ. ნ. ლორთქიფანიძე ითხოვს გაანთავისუფლონ ის ამ თანამდებობიდან. ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: ურატაძის განცხადება მოიწონოს, ლორთქიფანიძის თხოვნა დააკმაყოფილოს, ხოლო მის მაგიერ ციხის კომისრათ დანიშნოს აკაკი ფაღავა.

◆ **შ. თოფჩიაშვილი.** მაისის 12-ს ქუთაისში გარდაიცვალა ცნობილი ვაჭარი ქართველი ისრაელი შაბათა თოფჩიაშვილი. განსვენებული ქუთაისის ქართველ ისრაელთა საზოგადოებაში ერთ დაუღალავ მოღვაწეთ ითვლებოდა.

პროვინცია

◆ **ეგ. ნინოშვილის პანაშვიდი.** ჩოხატაურის საზოგადოების (გურია) სარაიონო კომიტეტი ეგ. ნინოშვილის გარდაცვალების 23 წლის თავზე მწერლის სამშობლო სოფელში, სოფ. ჩანჩეთში და მწერლის საფლავზე სამოქალაქო პანაშვიდის გადახდას აპირებს. პანაშვიდი კვირას იქნება, მაისის 21-ს. ამავე დღეს იმავ სოფელში ეგ. ნინოშვილის სახელობის სამკითხველო გაიხსნება.

◆ **ქალის მდგომარეობა.** მაისის 5 ს. მეწყენაში მოხდა კომისართა და კომიტეტების წევრთა არჩევა. სადაც არჩეულ იქმნა ისეთი მამაკაცები, რომლებმაც წერა-კითხვაც არ იციან. ქალებს კი არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნება არ მისცეს. ამავე სოფელში კიბარძალიძის ქალს კუდიანობა დასწამეს და დადაღეს.

◆ **გლეხთა კავშირი.** ახალციხეში მოეწყო გლეხთა კავშირი. უკვე 80 სოფელი მონაწილეობს. ფიქრობენ, რომ სხვა სოფლებიც მალე შევლენ ამ კავშირში. კავშირი უპარტიო და ინტერნაციონალური არის. მისი მიზანია სოფლელებს საეკონომიო და საპოლიტიკო ბრძოლა გაუადვილოს. არჩეულია დროებითი პრეზიდიუმი: ტერნერსეს, ტერ-გრიგორიან, ყაზახი რუდასი, აფიცერი ვარპეტიანი, ჟურნალისტი ივ. პიჩკინი, მასწავლებელი შ. დემირჩოგლიანი და ოგ. მარაშლიანი.

ჟანდარმების მოქმედების შესახებ

ჟანდარმების მოქმედების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავადი ურუსოვი აცხადებს:

— გაზეთებში მრავალი ცნობები იბეჭდება „ოხრანკების“ და ჟანდარმთა განყოფილების შესახებ. აღნიშნულია, რომ ისინი შავს ძალებს ემსახურებიან. მე წინადაც დეპეშაში № 25123 ვაცხადებდი, რომ ზომები მიეღოთ ასეთ ნაირ ცნობების გაზეთებში გამოქვეყნების წინააღმდეგ და ეხლაც ამას ვიმეორებ, ვინაიდან ეს სამხედრო საიდუმლოებას შეიცავს. ამიტომ საჭიროა, რომ ბეჭდვითი ორგანოების რედაქტორებმა სათანადოთ გაარჩიონ ესა თუ ის ცნობა ყოფილ ჟანდარმის მოქმედების შესახებ და მხოლოდ ის დაბეჭდონ, რაც საქმე პოლიტიკურ მხარეს შეიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საშუალებას მოკლებული ვიქნებით ვებრძოლოთ მტრის მრავალრიცხოვან აგენტებს.

ხელს აწერს თავადი **ურუსოვი.**

საფრანგეთის დიდი რევოლუცია

II

რევოლუციის აფეთქება და ბასტილიის დაცემა

„ჩვენს შემდგომ თუნდაც წარღვნას წაულეკია“,—ასე სთქვა ლუი XV საყვარელმა მარკიზა პომპადურამ სიკვდილის წინ. ეს წინასწარი გრძნობა ისეთის ბიწიერის არსებისა, როგორიც პომპადურა იყო, საოცარის სინამდვილით დაატყდა თავს მათ მემკვიდრეს ახალგაზრდა ლუი მეთექვსმეტეს, რომელმაც ჯერ კიდევ ტახტზე ასვლისას გაითვალისწინა მდგომარეობის სიძნელე და მარია-ანტუანეტას შესჩივლა: „რა უბედურებაა, ჩვენ მეტისმეტად ახალგაზრდები ვართ მეფობისათვის!“ მართლაც, მეფობისთვის მეტად ახალგაზრდა იყო ჯერ კიდევ 20 წლის ტახტზე ასული ახალი ხელისუფალი. ეს იქიდანაც სჩანს, რომ მან სავსებით ვერ გაითვალისწინა თუ ვინ უფრო გამოადგებოდა მართვა-გამგეობაში ასეთს საშინელ პოლიტიკურ თუ სოციალ-ეკონომიურ მთელი სახელმწიფოს კრიზისების დროს. პირველი მინისტრი მორეპა მხოლოდ სულმდაბალი ინტრიგანი იყო, რომელიც სახელმწიფო ხაზინის გაქურდვის მეტს არას უნდებოდა. აი, ეს გაიხადა მეფემ თავის მარჯვენა ხელად, მაშინ როდესაც ისეთი პატიოსანი და, მართლაც, გენიოსი ფინანსთა მინისტრი, როგორიც იყო ა. ტიურგო, გამგებლობის სცენიდან ჩამოიყვანა და მით დააჩქარა სარევოლუციო ყუმბარის აფეთქება. ამაოდ სცდილობდა ეს სახელოვანი მინისტრი აწეწილ-დაწეწილ სახელმწიფო მდგომარეობის გამოსწორებას. მისი საზრუნავი ის იყო, რომ ხალხსა და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში წესიერება ჩამოეგდო, გაენთავისუფლებინა პიროვნება, სასოფლო მიწადმოქმედება ეხსნა ფეოდალური მარწუხებიდან, მოესპო ყოველგვარი წოდებრივი უპირატესობა, შემოეღო თანაბარი გარდასახადი გლეხებზე, აზნაურებზე, თვით სამღვდელოებაზეც კი, ერთი სიტყვით, ტიურგოს მხედველობაში ჰქონდა სწორედ ისეთი სოციალ რეფორმების მოხდენა, რომლის განხორციელება შესძლო შემდეგში შტეინმა პრუსიაში.

მაგრამ ახალგაზრდა მეფემ, როგორც ვსთქვით, მალე სცენიდან ჩამოიყვანა ტიურგო და მისი ამხანაგი მალზერაბი, რომელიც მასთან ერთად მოითხოვდა პიროვნების ხელშეუხებლობას, ყოველგვარ ტანჯვა-წამების საჯელის მოსპობას, ადმინისტრატიულ წესით დაპატიმრების და სხვა. შემდეგ როგორმა ანარქიამაც წამოჰყო თავი, ეს მეორე წერილიდანაც დავინახეთ. ხალხი რადიკალურ რეფორმებს თხოულობდა, მეფე კი უარობდა. ბოლოს, როგორც ვსთქვით, გენერალური შტატები მოწვეულ იქმნა, რაიც შეკრებილი იქმნა 1789 წ. 4 მაისს. სწორედ ეს სახელოვანი დღე ითვლება ისტორიულ დღედ, სწორედ აქედანვე სამართლიანად აღიარებენ უახლეს ისტორიის დასაწყისსა.

გენერალურ შტატების შესაკრებად მთავარი ადგილი ვერსალი აირჩიეს, სადაც თვით მეფე ბრძანდებოდა, მინისტრებითურთ. მესამე წოდების წარმომადგენელთ ჯერ დაცინვით ეგებებოდნენ, მაგრამ გრაფ მირაბოს ძლიერი სიტყვების შემდეგ მეფე დათმობის გზას დაადგა. იგი ჩვეულებრივის ცერემონიით ჯერ წმ. ლუის საკრებულო ტაძრისკენ გაემართა სალოცავად. მესამე წოდების წარმომადგენელნი უკან რიგში ჩააყენეს. ჯერ მეფემ წარმოსთქვა მშრალი მისასალმებელი სიტყვა. შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ნეკკერმა თავისი დაუსრულებელი ციფრებით მხოლოდ მეფის წყალობას ასხავდა ხოტბას. შემდეგს კრებებზე სამღვდელოება და თავად-აზნაურობა ცალკე გამოეყო. ნაყოფი ამ კრებებისა მეტად მწირი იყო. ყველა მოლოდინში იყო, აღლოთი ჰგრძნობდნენ, რომ მაინც ეს ის არ იყო, რის მოლოდინიცა ჰქონდათ. ყველა ხსნის სიტყვას მოელოდა და ეს მხსნელი სიტყვა პირველად მესამე წოდებიდან გაისმა და არა დადუმებული ხელისუფლებისა და ყოველგვარ უპირატესობა მოხვეჭილ ბრწყინვალე წოდებისაგან. ამ ძლიერი სიტყვის წარმომთქმელი გახლდათ გაბრიელ ჰონორე დე რიკეტი გრაფი მირაბო. „იმაზე შემძრწუნებელი აღარა არის-რა ერისათვის, როგორც ექვსასი კაცის თავგასულობა, რომელთაც თავისი თავი რჩეულებად მოაქვთ, დღეს ხელშეუხებლად გვიცხადებენ თავს, ხვალ მემკვიდრეობით უპირატესობაში დაგვარწმუნებენ, ზეგ კიდევ სისხლით განსხვავებაზე მიგვითითებენ და ბოლოს იმითი გაგვითავებენ, რომ ყველას ერთ მოსმით ჩაგვყლაპავენ“. ამ სიტყვით უკვე სათანადო ზღვარი გაევლო ბრწყინვალე და მესამე წოდების შუა, ამ სიტყვითვე მკაცრად დახასიათდა მთელი რევოლუციის ისტორია კონვენტის დასრულებამდე. ეს არაჩვეულებრივი მხილება ნამდვილი თოფხანის აღმოჩენა იყო მესამე წოდებისთვის. გათამამებულმა მესამე წოდებამ აბბათ სიესის წინადადებით კრება გამოაცხადა „ეროვნულ კრებად“. რაკილა უმრავლესობა დეპუტატებისა მესამე წოდებიდან იყო, თქმა არ უნდა, ეს კრება დიდ უფლებას ანიჭებდა უფლება აყრილ ხალხს. უწინარეს ყოვლისა, იგი „სადადაც“ გახსნა, რასაც ასე რიგად მოითხოვდა აბბათი სიესი თავის სახელოვან ბროშიურით „რა არის მესამე წოდება?“ კრებასაც მესამე წოდების წარმომადგენლებმა ძალა იგრძნეს, აღარ დაუყოვნებიათ, რომ მოხვეჭილი უფლება უფრო განემტკიცებინათ. შემდეგს კრებაზე უფლება იგი გააფართოვეს. დაადგინეს, ეროვნულ კრების დაუკითხავად აღარავითარი გარდასახადები არ გაიწეროსო. მოითხოვეს მიზეზების გარკვევა, თუ რად ჩავარდა ხალხი ამ მძიმე მდგომარეობაში, ან როგორ გამოვიყვანოთ საშინელი სასოწარკვეთილებიდანაო. ამნაირათ, რევოლუციის პირველი აქტი უკვე შესრულებულ იქმნა, ეს გახლდათ ნიშანი მეფის ყოვლად შეუძლებლობის შერყევისა და ხალხის სცენაზე გამოსვლისა. ვერსალი, ეს ბურბონთა სამეფო აბსოლიუტიზმის შეურყეველი სიმბოლო, ამიერიდან დემოკრატიის აკვნად გარდაიქცა, სადაც რევოლუციის ჩირაღდნი მთელის მშვენებით გიზგიზებდა.

დ. კასრაძე.

(დასასრული მეორე თავისა იქნება).

როგორი იყოს ქართველ ქალთა გიმნაზია?

თავისუფლებას ვნატრობდით და სრულიად მოულოდნელად ვეღირსენით ოცნების განხორციელებას.

თავისუფლებას ვნატრობდით, მაგრამ შორეული ეგეგონა, შეუძლებელი, და აზრადაც არ მოგვდიოდა, მოვმზადებულიყავით, დავფიქრებულიყავით, თუ თავისუფლებით როგორ გვესარგებლა. თავისუფლება რევოლუციამ მოგვანიჭა; როგორ გამოვიყენოთ, როგორ ვისარგებლოთ ამ სიკეთით ჩვენდა სასარგებლოდ,—ამას კი ვერავინ მოგვანიჭებს, თუ ჩვენვე არ შევეცადენით ჩვენს სულიერ გარდაქმნას, ჩვენს ეგრედ წოდებულ ევოლუციას.

სწორედ ეს გარდაქმნა, ეს განახლება გვაკლია ჩვენა, როგორც ვწირავდით გუშინ, დღესაც ისევე ვწირავთ.

პატარა მაგალითი.

კრება ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებისა. ქალთა გიმნაზიის სმეტა. სმეტა შეუდგენია პედაგოგთა საბჭოს და მოწონებულია გამგე კომიტეტის მიერ. ამ სმეტით მოწაფენი მთელი ათი წლის განმავლობაში სწავლობენ სამღვთო სჯულს, სამ წელიწადს მოსამზადებელ კლასებში და შვიდს გიმნაზიაში.

რას უნდა შეალიონ საბრალო ბავშვებმა ათი წელიწადი, ალლაჰმა უწყის; პედაგოგთა საბჭო და გამგე კომიტეტი ამას არ დაჰფიქრებია, რადგან ეს იყო აქამდე, მაშასადამე ასევე უნდა იყოს დღეის იქითაცო.

მოვა დრო, და მგონი ეს არც ისე შორს იყოს, როდესაც სამღვთო სჯული განდევნილი იქნება სასწავლებლიდგან. მანამდე კი საჭიროა გადასინჯულ იქმნას სამღვთო სჯულის პროგრამა და აღიარებულ იქმნას ის ჭეშმარიტება, რომლის ძალით სამღვთო სჯულს ასწავლიან არა მოსამზადებელი კლასის გონებით უსუსურ ბავშვს, არამედ მოწიფულს, საჭირო ცოდნით და განვითარებით გამაგრებულს ჭაბუკს მეოთხე—მეხუთე კლასისას.

მეოთხე კლასშიც რომ დაიწყონ სამღვთო სჯულის სწავლა, ოთხი წლის განმავლობაში საფუძვლიანად და შეგნებულად შეისწავლიან იმ კურსს, რასაც აქამდე 10—11 წელიწადს ალეჭდნენ.

რა დამოკიდებულება აქვს „ძველ აღთქმას“ ჩვენ სამღვთო სჯულთან? ქრისტიანობის მოძღვარი ებრაელი იყო, სხვა ხომ არაფერი? ნუ თუ ებრაელთა იმ დროის დასახასიათებლად, როდესაც ქრისტე დაიბადა, არ იკმარებს ორი-სამი გაკვეთილი, შესავალი ახალი აღთქმის შესასწავლად?

რა საჭიროა ძველი აღთქმა, ეს იგი ებრაელთა ისტორია, და ისიც მეცნიერული კი არა, რაღაც ზღაპრული ისტორია, რომლის სიყალბეს თვით მოწაფენი ჰგრძნობენ და ხშირად უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენებენ ხოლმე სიმართლის მოთხოვნით მშობლებსაც და მასწავლებელსაც?

ებრაელების ისტორიას ადგილი აქვს და უნდა ჰქონდეს ისტორიაში და არა სამღვთო სჯულში.

—

სასურველი იქნებოდა, გიმნაზიებში ნასწავლ ქალებს გულწრფელად ეთქვათ,—მოიძებნება ვინმე, თუნდა ერთი მაინც, მათ შორის, რომ გიმნაზიაში შეესწავლოს ჭრა-კერვა და ერთობ ხელსაქმე? და თუ არა, რა საჭიროა გიმნაზიაში ის გაკვეთილები, რომელსაც ვითომ ხელსაქმეს ანდომებენ?

საშუალო სასწავლებელი ისე უნდა ანვითარებდეს და ამზადებდეს მოწაფეს, რომ ყველგან და ყოველთვის მაგარი მებრძოლი იყოს და ცხოვრებას არ დაეჩაგვრინოს; უმაღლეს სასწავლებლებში თავისუფლად, გაუჭირვებლივ შეითვისოს მეცნიერება; სამსახურში—ადვილად შეიძლოს კანცე-

ლარიის ან ბუღალტერიის საქმის წარმოება; გათხოვილი, თუ გაუჭირდა, თითონვე გაუძღვეს თავის ოჯახს და ჭრაკერვაც მოახერხოს, საჭმლის გაკეთებაც და სხვა.

ვინ იტყვის, ტანსაცმელს მეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სიცოცხლისათვის, ვიდრე საჭმელ-სასმელსაო? მაშ ხელსაქმესთან ერთად მზარეულობაც გიმნაზიაშივე ვასწავლოთ! ასე რომ გავყვეთ, იქნება სხვაც დაგვჭირდეს რამე და ჩვენ შვილებს არც ხელსაქმე ეცოდინებათ, როგორც დღეს არ იციან და არც ის საჭირო მომზადება ექნებათ, რომელმაც იგინი მოქალაქეობრივ ცხოვრებისთვის უნდა მოამზადოს.

ქალი სრული თანასწორია კაცისაო, ვიძახით, და ამასთანავე სასწავლებელშივე ვუსპობთ ამ თანასწორობას: ვზდრით, არა მამულიშვილს, არამედ მამულიშვილის დამხმარეს, დიახ დაიხმარეს და არა მეუღლეს.

გამორიცხეთ პროგრამიდგან რაც მეტია და მაშინ დროც დაგრჩებათ და საშუალებაც, რომ მოწაფეებს ერთი ევროპიელი ენა შეასწავლოთ: შეასწავლოთ იმდენად, რომ წაკითხულის, თუნდა ლექსიკონით, გაგება შეიძლოს და თუ უცხოეთში გავიდა სწავლის დასამთავრებლად, ბევრი დრო არ დაჰკარგოს ენის შესასწავლად.

იგ. მაჭავარიანი.

ქართველი მაჰმადიანი ქალები და არჩევნები

ამ ჟამად ბათომში აღმასრულებელ კომიტეტების საოლქო კრებები იმართება. ბევრ საყურადღებო საკითხთა შორის კრება იხილავს ერთ ფრიად სერიოზულ საკითხს. ეს გახლავთ ქალების არჩევნებში მონაწილეობის საკითხი. როგორც ვიცით გადაწყვეტილია დამფუძნებელ კრების წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ქალებსაც ჰქონდეთ, ხმის მიცემა მათთვისაც სავალდებულო იქნეს. მაჰმადიანი ქალები კი საჯაროთ მამაკაცებთან სალოცავებშიაც კი არ დადიან. კრება ამ საკითხს დიდის სიფრთხილით და წინდახედულობით იხილავს. ბევრი, ცხადია, ამისი წინააღმდეგი იქნება, მაგრამ არიან ისეთი მაჰმადიანებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შარიათი (კანონის წიგნი) ქალებს არ უკრძალავს არჩევნებში მონაწილეობის მიღებასაო. კრებას უმტკიცებენ იმასაც, რომ ყირიმელ თათრის ქალები და თვით კონსტანტინოპოლელებიც კი უჩადროთ დადიან და კაცებს ისე არ გაურბიან, როგორც ჩვენებურებიო.

კრების საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ ვიცით. თუ კრებამ ქალებს საარჩევნო უფლება მისცა, მაშინ ბათომის ოლქში კრებებისა და არჩევნების მოსაწყობად ქართველი ქრისტიანი ქალები უნდა გაიგზავნონ. ესენი უხელმძღვანელებენ თავიანთ დებს. სიფრთხილე და სხვისი ადათ-ჩვეულებათა პატივისცემა ყოველთვის და ყველასაგან მართებულია.

ა—ნ.

ხელოვნება თავისუფალ საქართველოში

რევოლუცია დიდ გავლენას იქონიებს ხელოვნებაზე. იგი, უეჭველია, რენესანს შეჰქმნის. რუსეთის ძველმა რეჟიმმა ხელოვნებაც არ გაუშვა შეუმწიკვლელი. საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებს ჰკუწავდა, ანადგურებდა თავისუფალ ხელოვნების შემოქმედებას, ჰარმონიის მაგივრად დისონანსი შეჰქონდა ხელოვნებაში. ხელოვნება გარდაქცეული იყო მაღალი წრის კაპრიზების დასაკმაყოფილებლად. თავისი მოუხეშავი, ტლანქი ხელით ჰბზარავდა წმინდა ცხოვრების სარკეს, ყოველივე სიმშვენიერეს და სილამაზეს აქრობდა. ამას ეხლა ბოლო მოეღება. ხელოვნება თავის კალაპოტში ჩადგება და თავისუფლად განვითარდება. ჩვენ ხელოვნებასაც აღორძინება-განახლება მოელის. პოლიტიკურად დამონებულ ქართველ ერს, რომლის ენას სდევნიდნენ, რომლის სარწმუნოებას აქრობდნენ და უხშობდნენ თავის მოთხოვნილებას, რასაკვირველია, არ შეეძლო შექმნა ნამდვილი თავისუფალი წმიდა ხელოვნება. სწორედ ამ პოლიტიკური შეზღუდვით აიხსნება ის მოვლენა, რომ ჩვენ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში უმთავრესად ეროვნული მოტივები გაისმოდა. პოეზიას პუბლიცისტიკის ელფერი ედო. მაგრამ დამონებულმა ერმა თავისი სულიერი ძალა იჩინა, თავისი ძლიერი ინდივიდუალიზმი გამოაშკარავა და წარმოშობა ისეთი მსოფლიო ნიჭის პატრონი პოეტი, როგორიც ნიკოლოზ ბარათაშვილია! მაგრამ საუბედუროდ მას კაცობრიობა ვერ იცნობს. ვერ იცნობს, იმიტომ, რომ ბარათაშვილი დამონებული ერის პოეტი იყო და დამონებული ერი ხომ კაცობრიობისათვის უცხოა?! ილია ჭავჭავაძემ თავისი დიდი ნიჭი ეროვნულ საკითხების გარდაწყვეტას შეალია და მხოლოდ ერთი გენიოსური ქმნილება „განდეგილი“ უძღვნა კაცობრიობას. სხვა შემდეგი მწერლებიც ამ საკითხის იქით არ გასცილებიან და ვერც გასცილდებოდნენ, ყოველი მათგანი ერს თავს ედგა „ვით ჭირისუფალი“. ერს მოვლა უნდოდა, პატრონობა. საჭირო იყო მის გულმკერდში სამუდამოდ ცეცხლი არ გამქრალიყო, ნაცარი არ წაჰყროდა. და აკი ჩვენი საუკეთესო მგოსნებიც თავიანთ ჩანგით ეროვნულ სიმღერებს გვიმღერდნენ, მამულიშვილურ გრძნობებს და სამშობლოს სიყვარულს გვინერგავდნენ გულში.

ამ ბოლო ხანებში ჩვენი ახალი მწერლები შეტორტმანდნენ. ჩვენ თანამედროვე პოეზიას ხელოვნების ახალი სიო მოხვდა. მაგრამ ეს სიო არაა მშობლიური. სხვის სიყალბეს, სიმახინჯეს ჩვენ ვერ მივიღებთ. ჩვენ გვინდა ჩვენი ნამდვილი ახალი ხელოვნება, რომელსაც მომავალში მოველით. ჩვენ სხვათა შორის სიმბოლიზმიც გვწყურიან, ნამდვილი სიმბოლიზმი და არა ისეთი, როგორსაც ამ ჟამად ვხედავთ. ჩვენში ეს მიმართულება ვერ გაიგეს, ვერ გაიგეს იმიტომ, რომ ახალი მწერლები მოუმზადებლები არიან. ვერ შეიგნეს ხელოვნების ახალი მიმართულება, რადგან ხელოვნების პრინციპების შეგნება მათთვის ძნელი იყო. დიდი სიყვარული, სწავლა-განათლება, ინტერესი და ბუნებრივი ნიჭის შემუშავება—აი რა არის საჭირო ხელოვნების შესაქმნელად. დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე თეატრს. ხელოვნების ამ ერთ უდიდეს დარგს. მუსიკა და დრამა მკვიდრ ნიადაგზე უნდა დავამყაროთ. ყველაზე მოუმზადებელი ჩვენი თეატრი არის. ჩვენ, თეატრი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჯერ არა გვქონია! იყო მხოლოდ ტრიბუნა, კათედრა საიდანაც მჭერ-მეტყველური ეროვნული ხმა გაისმოდა, სადაც მხოლოდ ეროვნული მანიფესტაციები იმართებოდა და არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია თეატრთან. დღესაც ამ სახისაა ჩვენი თეატრი, თუ შეიძლება თეატრი ვუწოდოთ. ჩვენი თეატრი, გვაგონებს საფრანგეთის მეთერთმეტე საუკუნის დამლევ თეატრს, სადაც თეატრი ნამდვილ ტრიბუნად გარდაიქცა. სცენაზე ახორციელებდნენ იმას, რაც არ შეიძლებოდა წიგნით, ბროშურით და ჟურნალით გარდაეცათ ხალხისათვის. თეატრმა დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და უბრალო უტილიტარული ხასიათი მიიღო. სცენაზე შეჰქონდათ ის, რაც არ შეიძლებოდა, რაც სასცენო ხელოვნების ატრიბუტებს ეწინააღმდეგებოდა და მთლად ტენდენციური მიმართულებით იმსჭვალებოდა. სწორედ ამისთანა ელფერისაა ჩვენი თეატრიც. ამას, რასაკვირველია, იგივე პოლიტიკური პირობები უწყობდა ხელს, ძალა უნებურად ამგვარ გზაზე აყენებდა. მაგრამ, სიმართლე უნდა ვსთქვათ, ამ გვარმა თეატრმაც ჩვენ ხალხს დიდი სამსახური გაუწია. ეს იყო ერთვარი ეროვნული სახლი, სადაც ქართველ ადამიანს ესმოდა ნამდვილი ქართული ენა, ხედავდა თავის წინა-პარ გმირთა საგმირო საქმეს და ნათლად ხედავდა სამშობლოს სულის კვეთებას. მხოლოდ ეს ღირსება ნამდვილი თეატრის ღირსებად არ ჩაითვლება. ჩვენი მომავალი თეატრი უნდა იყოს ეროვნული თეატრი. მხოლოდ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ისევ ეროვნულ ჰანგებს ვეღარ ასცილდეს და იგივე ცრუ და ყალბი ისტორიული პიესები იდგმებოდეს. თეატრი—დემოკრატიული სულის გამომხატველი, თეატრი—ცხოვრების სარკე, თეატრი—ხელოვნების ტაძარი, თეატრი—სილამაზისა და სიმშვენიერისა, თეატრი—ინდივიდუალური, თეატრი—კლასიკური, თეატრი—სიმბოლიზმის და სტილიზაციის, თეატრი—სკოლა, აი, ეს მრავალფეროვნობა უნდა იყოს დაცული. მხოლოდ ასეთი თეატრი აღამაღლებს ერს და უნივერსალიზმის გამომხატველი იქნება. უეჭველია, დიდი დრო დაგვჭირდება, მაგრამ ასეთი გზა—ყველასთვის აუცილებელია. მორჩა, წავიდა ის დრო, როდესაც მსახიობის დიად შემოქმედებას ჩალის ფასად არ აგდებდნენ, როდესაც დიდი ეჭვით შეჰყურებდნენ სასცენო ხელოვნებას. მთელმა განათლებულმა ევროპამ თეატრს უპირველესი ადგილი დაუთმო ხელოვნებაში. იქ, სადაც თეატრი მკვიდრ ნიადაგზე არის დამყარებული და უმაღლეს წერტილამდის განვითარებული—ეს ნიშანია ერის დიდი კულტურისა და განათლებისა. ჩვენც უნდა შევქმნათ თეატრი, თეატრი, რომელსაც თავისი მხატვრული შემოქმედება ექნება—ერთგვარი იდეია, მისწრაფება, იმპულსი, დინამიკა, რომ ერთ წერტილზე არ გაიყინოს. ქართულ თეატრს უნდა ჰქონდეს ორიგინალური რეპერტუარი და ჰყავდეს სპეციალურ სწავლა-განათლებით აღჭურვილი მსახიობრეჟისორნი. თეატრის გარშემო უნდა იდგნენ საქმის ახლო მცოდნე პირები და არა პიროვნებანი, რომ ღირსეულად აწარმოონ თეატრის საქმე. საჭიროა დაარსდეს დრამატიული კურსები ფართო პროგრამით და არტისტიული წრე-სალონი, რომელსაც ექნება თავისი ორგანო—სათეატრო ჟურნალი და სხვა... დღევანდელი მომენტი ნებას არ გვაძლევს ფართედ შევეხოთ ჩვენ მიერ აღძრულ საკითხს და როდესაც საქართველო მიაღწევს თავის მიზანს, მისი ცხოვრება სათანადო კალაპოტში ჩადგება, ჩვენც მაშინ გამოვამჟღავნებთ ჩვენს ძირითად დებულებას თუ რა პრინციპზე უნდა აიგოს მომავალი ქართული თეატრი. საქართველომ უნდა შეჰქმნას ხელოვნება ლამაზი, მდიდარი—სწორედ ისეთი, როგორადაც მის ლამაზ და კეკლუც ბუნებას შეჰფერის. ძლიერია პოლიტიკა, მაგრამ არა ნაკლებ ძლიერია ხელოვნება ცხოვრებაში.

„ხელოვნება უკვდავია—ცხოვნება კი წარმავალიო“,—სთქვა დიდმა გიოტემ თავის „ფაუსტში“. იმისთვის არის საჭირო პოლიტიკა, რომ ჩვენი ცხოვრება გავიუმჯობესოთ, ამ ხანმოკლე ცხოვრებაში არ დავიტანჯოთ, არ ვეწამოთ და ამისთვის თავისუფლობა გვინდა მოვიპოვოთ, „რომლის ტაძარი“ ჯერაც „უსისხლოდაც“ ვერ აგვიშენებია. ხელოვნებას კი სისხლი არ უნდა. სიმშვენიერის ტაძარს—ადამიანის სული ჰქმნის. ჩვენ ვეღარ დაგვაკმაყოფილებს იულიოს კეისარის, ლიუდოვიკ მეთორმეტის, ტიუდორიების, ნაპოლეონის და თამარ მეფის პოლიტიკური მართველობა, მაგრამ რაც კი რამ შექმნილა ხელოვნებაში მათ დროში—ის ჩვენთვის მეტად ძვირფასი და უკვდავია! ჩვენ სიამოვნებით შევდგებით რომელიმე გრავიურის წინ, ხარბად მივაჩერდებით რომელიმე ისტორიულ ძეგლს—ქანდაკებას, გადავშინჯავთ მხატვრობას, გადავიკითხამთ ლიტერატურას და ყოველთვის საინტერესო იქნება. ჩვენი პოლიტიკით ვეღარ იცხოვრებენ ჩვენ შემდეგ სხვა ახალი მომავალი თაობა, მათთვის ძველი იქნება ჩვენი ახალი პოლიტიკა, მაგრამ ჩვენ მიერ შეჰქმნილ ხელოვნებაზე ჩვენი შვილების-შვილები აღიზრდებიან.

ვ. გარრიკი.

კორესპონდენცია

სურამის ამბები

სურამი. მაისის 14, დილის 12 საათზე, აღმასრულებელ კომიტეტის ბინის წინ ხალხმა თავი მოიყარა, კომიტეტის წევრებს უნდობლობა გამოუცხადა და მათი გადაყენება მოინდომა. კომიტეტის ერთმა წევრმა კ. ნინიძემ ხალხს დასამშვიდებლად მთავრობის მიერ გამოცემული ინსტრუქციის კითხვა დაუწყო და ხალხს უხსნიდა, რომ კომიტეტი ჯერ-ჯერობით თავის მოვალეობას აასრულებს, ვიდრე ახალი არჩევნები მოხდებაო. ინსტრუქციას რუსულად უკითხავდა. მაშინ შალიბაშვილმა ითხოვა სიტყვა. ნინიძე და შალიბაშვილი ერთმანეთს სიტყვას აღარ აცლიდნენ. ამან ალიაქოთი გამოიწვია. ნინიძემ თავმჯდომარეობას თავი დაანება. ამ დროს ხალხი მისცვივდა მილიციონერებს და იარაღი აჰყარა. ამბობენ მილიციონერებმა ხალხს თოფები მოუღერესო. ამ არეულობის დროს ხალხმა კ. ნინიძეს და ლომინაძეს სცემა. შეიძლება არეულობა უფრო გადიდებულიყო, მაგრამ მოვიდა კომიტეტის თავმჯდომარე ალ. მდივანი და ხალხს სიტყვა უთხრა. ამით ხალხი დაშოშმინდა. არეულობას ხალხმა თავი გაარიდა და კრებიდან წავიდა, მაგრამ ახლა სხვები მოგროვდნენ. ამ გარემოებამ ხალხი შესცვალა და კრებამ მშვიდობიანად იწყო მიმდინარეობა. შემდეგ ერთმანეთის ცილისწამებამ და პირად ანგარიშებმა იჩინა თავი. ზოგს ისეთი რამ დასწამეს, რომ მოსალოდნელიც არ იყო. ხაშურიდან ამოვიდა ჯარი და ხალხის დატუსაღება დაიწყეს.

ნ. ხ—ძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თბილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

კახეთის რკინის გზა

საფოსტო მატარებლების მიმოსვლა

I, II, Ш კლასის ვაგონებით.

(დრო ადგილობრივია)

თბილისიდან ყოველ დღე მიდის დილის 8 საათ.

გურჯაანის სადგურზე მოდის ნაშუადღევის 2 საათზე და 20 წ.

გურჯაანის სადგურიდან მიდის თელავისაკენ ნაშუად. 2 საათ. და 40 წ.

თელავში მოდის საღამოს 4 საათზე.

გურჯაანიდან მიდის წნორის-წყლის სადგურისკენ 3 საათ.

წნორის-წყლის სადგურზე მოდის საღამოს 4 საათ. და 10 წ.

თელავის სადგურიდან მოდის ყოველ დღე დილის 10 საათზე 15 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათ. და 35 წუთ.

წნორის-წყლის სადგურიდან მოდის გურჯაანისაკენ დილის 10 საათზე და 32 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათზე და 30 წ.

გურჯაანის სადგურიდან მოდის თბილისისაკენ ნაშუადღევის 12 საათზე.

თბილისის სადგურზე მოდის საღამოს 5 საათზე და 26 წ.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

ექიმქა
გ. მ. მუხაძე
იღებს ხალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

გოლოვინის პრ. და ხამხელის ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ასლამაზიანისა

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
მ. ი. მაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღეს გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბეთანიის ქ. № 4. (—202—)

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
ფონ-ირტელი
მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოზანჯანოვისა).
ნიკოლოზის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი [illegible], საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურობისა, სიმსივნისა, [illegible], ბუასილისა, თეთრადენასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
წამლების „914“ და „606“
შეშხაპუნება

იყიდება ახლად მიღებული
ფარანი
(ვოგლა)
ბითუმად და წვრილად
მისამართი: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 80 და ოლღას ქუჩა № 36.
3—645—2

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—29)

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა
ნ. ბარათაშვილის ლექსები
და წერილები
სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.
გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:
ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.
გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.
წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.
წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50).
სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.
(10—555—10)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშიჩნა“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.